დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა ედიშერაშვილი

წევრები:

ნათია ღოღობერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218049715

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე
იურიდიული მისამართი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე
ფაქტობრივი მისამართი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/47nAM4y
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kere@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 15 62 16
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	577 15 62 16

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 23 0001028897- 23/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	23.10.2023-24.10.2023

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES523 0001028897- 23/08/2023 საფუძველზე 23-24 ოქტომბერს განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ გორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლაში. სკოლაში ვიზიტისას შეფასების პროცესი ეფექტიანად, პოზიტიურ, აქტიურ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა.
სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული სკოლის მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტაცია: სამართლებლივი აქტები, კურიკულუმები და სხვა. განხორციელდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, თანამშრომლებთან და სკოლის მასწავლებლებთან კათედრების მიხედვით.
საგნობრივმა ექსპერტებმა Teams-ის პლატფორმის საშუალებით განახორციელეს გასაუბრება შესაბამის კათედრების მასწავლებლებთან მეორე სტანდარტთან, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა სასკოლო ინფრასტრუქტურა და გარემო, განხილული იქნა უსაფრთხოების ნორმები სკოლაში. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: _____ 90	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად შესაბამისი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი		
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	***შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, 2023 წლის 20 დეკემბრამდე განისაზღვროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციების გათვალისწინებით.***
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	***შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით განხორციელდეს:*** ***2024 წლის 20 ნოემბრამდე შიდა სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება.*** ***2023 წლის 30 დეკემბრამდე საგანებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, დამტკიცება და შეთანხმება შესაბამის უწყებასთან.***
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი		

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
2.2.	კურიკულუმის განხორციელება	2024 წლის 20 ნოემბრამდე განხორციელდეს სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისი რესურსებით - ხელსაწყოებით, აღჭურვილობით, რეაქტივებით, მულაჟებით, მიკროსკოპით, სადემონსტრაციო მაგიდებით ცეცხლგამძლე ზედაპირით, საჭირო ჭურჭელით.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა განახლებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და SWOT ანალიზი. რჩევა: სასურველია სკოლა მეტად ჩაუღრმავდეს SWOT ანალიზის შევსების მეთოდოლოგიას და უფრო მკაფიოდ წარმოადგინოს შესაძლებლობები-რისკების ფორმულირებები, რაც დაეხმარება რეალისტური პრიორიტეტების განსაზღვრაში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		სკოლის საჭიროებებზე კიდევ უფრო მეტად მორგებული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	**სასურველია სკოლის პორტალზე წარმოდგენილი იყოს მეტი ინფორმაცია სკოლის შესახებ, მარეგულირებელი დოკუმენტები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.**
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას მიეცა რჩევა: ✓ სახელმწიფო ენაში კურიკულუმები შეივსოს სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით; ✓ მათემატიკის კურიკულუმებში - ვინაიდან სკოლა შუალედური მიზნის მიღწევის მიზნით ნერგავს კომპლექსური დავალებებით მუშაობას, სასურველია გაიზარდოს კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობა სემესტრში მინიმუმ ერთხელ მაინც და დეტალურად გაიწეროს განხორციელების ეტაპები.
2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სკოლას მიეცა რჩევა: ✓ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დააკონკრეტოს და დაუკავშიროს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებს; ✓ მათემატიკა - სასურველია სკოლამ, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენოს მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

		რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, შეიმუშაონ კონკრეტულ საკითხებზე მორგებული და მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები; ✓ უცხო ენა - განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დააფუძნონ არა მხოლოდ თემიდან ერთ ძირითად საკითხზე/შუალედურ მიზანზე, არამედ უფრო მეტად დააზუსტონ და დაუკავშირონ კონკრეტული თემის ფარგლებში დასაფარ სასწავლო საკითხებს; ✓ ბუნებისმეტყველება - მიუხედავად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებისა, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა შეიმუშაონ თითოეულ საკვანძო საკითხზე მიმართული შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებული იქნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე.
2.2.2.2	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.	სკოლას მიეცა რჩევა - გაკეთდეს მეტი აქცენტი კომპლექსური დავალებების რეფლექსიაზე. რეფლექსია სასურველია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის კვლევის ფარგლებში, ასევე მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით. ყურადღება გამახვილდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

		თვითცნობიერებაზე, თვითრეგულაციასა და სოციალურ ცნობიერებაზე. პროცესში შეიძლება ჩართული იყოს მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია.
2.2.2.4.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია ვალიდურობისა და სანდოობის მიზნით, კათედრამ მეტად გაამახვილოს ყურადღება თუ რა მიზნით, რა კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მასწავლებელი შეფასებას, რა მეთოდებს იყენებს; რა პრინციპით არჩევს შეფასების ინსტრუმენტს; რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს; სასურველია კრიტერიუმების შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ მოსწავლეები და მშობლები.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას მიეცა რჩევა: ✓ სახელმწიფო ენაში კურიკულუმები შეივსოს სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით; ✓ მათემატიკის კურიკულუმებში, ვინაიდან სკოლა შუალედური მიზნის მიღწევის მიზნით ნერგავს კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		დავალებებით მუშაობას, სასურველია გაიზარდოს კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობა სემესტრში მინიმუმ ერთხელ მაინც და დეტალურად გაიწეროს განხორციელების ეტაპები.
2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	სკოლას მიეცა რჩევა, რომ სახელმწიფო ენის კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.
2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სკოლას მიეცა რჩევა: ✓ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დააკონკრეტოს და დაუკავშიროს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებს; ✓ მათემატიკა - სასურველია სკოლამ, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენოს მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, შეიმუშაონ კონკრეტულ საკითხებზე მორგებული და მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

		✓ უცხო ენა - განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დააფუძნონ არა მხოლოდ თემიდან ერთ ძირითად საკითხზე/შუალედურ მიზანზე, არამედ უფრო მეტად დააზუსტონ და დაუკავშირონ კონკრეტული თემის ფარგლებში დასაფარ სასწავლო საკითხებს; ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მიუხედავად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებისა, მნიშვნელოვანია ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის მასწავლებლებმა შეიმუშაონ თითოეულ საკვანძო საკითხზე მიმართული შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებული იქნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე.
2.2.2.2	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.	სკოლას მიეცა რჩევა - გაკეთდეს მეტი აქცენტი კომპლექსური დავალებების რეფლექსიაზე. რეფლექსია სასურველია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის კვლევის ფარგლებში, ასევე მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით. ყურადღება გამახვილდეს თვითცნობიერებაზე, თვითრეგულაციასა და სოციალურ ცნობიერებაზე. პროცესში შეიძლება ჩართული იყოს მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2.2.2.4.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია ვალიდურობისა და სანდოობის მიზნით, კათედრამ მეტად გაამახვილოს ყურადღება თუ რა მიზნით, რა კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მასწავლებელი შეფასებას, რა მეთოდებს იყენებს; რა პრინციპით არჩევს შეფასების ინსტრუმენტს; რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს; სასურველია კრიტერიუმების შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ მოსწავლეები და მშობლები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები, ასევე შესაბამისობის გეგმა.

1. ***წარმოადგინა ერთწლიანი გეგმა (2023-2024 სასწავლო წლის), სადაც გათვალისწინებულია 7 სტრატეგიული მიზანი, ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების რეალისტური ვადები, გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები. სასურველია რესურსები კლასიფიცირდეს ფინანსურ და ადამიანურ რესურსებად. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და შინაარსი სტანდარტის შესაბამისია, ხოლო მისი უზრუნველყოფა რეალისტური.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>ინდიკატორი 1.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

სკოლამ ასევე წარმოადგინა განახლებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და SWOT ანალიზი.
რჩევა: SWOT ანალიზის დიაგრამაში ბუნდოვანია O-შესაძლებლობები და T-საფრთხეები. შესაძლებლობები და საფრთხეები გარე ფაქტორების გათვალისწინებით განისაზღვრება. მაგალითად, შესაძლებლობებში მითითებულია დამატებითი კლუბების შექმნა, რაც თავად სკოლის მიერ განსახორციელებელი პრევენციული აქტივობაა და მოცემულ დიაგრამაში არ უნდა ფიქსირდებოდეს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მითითებული იყოს - სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგები საკლუბო მუშაობის გაძლიერებისთვის. იგივე შეიძლება ითქვას რისკების ნაწილზეც. სასურველია სკოლა მეტად ჩაუღრმავდეს SWOT ანალიზის შევსების მეთოდოლოგიას და უფრო მკაფიოდ წარმოადგინოს შესაძლებლობები-რისკების ფორმულირებები, რაც დაეხმარება რეალისტური პრიორიტეტების განსაზღვრაში და სკოლის საჭიროებებზე კიდევ უფრო მეტად მორგებული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

2. *სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. წარმოდგენილია პოლიტიკის მიზანი და გამოყენების სფერო, პოლიტიკის ამოცანები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, კადრების მოზიდვა და შერჩევა, მასწავლებლის შერჩევა, კონკურსის გამოცხადება, კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა, კონკურსის ეტაპები, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული დაკარიერული განვითარება და სხვა. დოკუმენტი ასახავს პერსონალის მართვის პროცესებს სკოლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; <u>ინდიკატორი 3.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>*

3. *სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინებულია კადრების მოზიდვისა და შერჩევის რეგულაციები, მათ შორის პირად საქმეში წარსადგენი დოკუმენტაცია, სადაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა.*
ასევე, წარმოადგინა მასწავლებელთა ცნობები სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, <u>ინდიკატორი 3.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. *სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია, რომ კონკრეტულ პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრას განახორციელებენ 2023 წლის 20 დეკემბრამდე.*
<u>ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

5. *სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, 2023 წლის 29 ნოემბერს სკოლიდან გაგზავნილი წერილი MES5230001620006 სსიპ საგამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში. სკოლა ითხოვს მხარდაჭერას სააგენტოს მხრიდან შიდა სათვალთვალო კამერების დამონტაჟებასთან დაკავშირებით.*
სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც დაგეგმილია:
   - ✓ *2024 წლის 20 ნოემბრამდე შიდა სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება.*
   - ✓ *2023 წლის 30 დეკემბრამდე საგანებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, დამტკიცება და შეთანხმება შესაბამის უწყებასთან.*

შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილია მოცემულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები, ჩართული მხარეები, რისკები და მტკიცებულებები. <u>ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

6. *სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება. დებულებაში მოცემულია ბიბლიოთეკის მუშაობის მიზნები და ამოცანები, ორგანიზება და მართვა, ბიბლიოთეკარის ფუნქციები, უფლებები, მკითხველის ვალდებულებები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების აღწერა, ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ასევე, სკოლის ბიბლიოთეკარის ფუნქცია ბრძანებით დაევალა ერთერთ მასწავლებელს. მოცემული მტკიცებულებების გათვალისწინებით, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, სასკოლო საზოგადოებას მეტი ხელმისაწვდომობა ექნებათ სკოლის ბიბლიოთაკასთან. <u>ინდიკატორი 3.5.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>*

7. *სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 29 ნოემბერს გაგზავნილი წერილი MES6230001619937 სსიპ საგამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, რითაც სკოლა ითხოვს სააგენტოსგან მხარდაჭერას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სათანადო ინვენტარით აღჭურვასთან დაკავშირებით. ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განისაზღვრა ლაბორატორიის აღჭურვა რესურსებით 2024 წლის 20 ნოემბრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, <u>კომპონენტი 2.2. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა (შემდგომში სკოლა) მისიით აცხდებს, რომ ორიენტირებულია მოსწავლეზე და ხელს შეუწყობს ის ჩამოყალიბდეს, როგორც მოაზროვნე, მრავალმხივ განვითარებული და ტოლერანტი პიროვნება, რომელიც იქნება თვითრეალიზებული თანამედროვე სამყაროში. სკოლის ხედვის თანახმად, მუდმივი პროფესიული განვითარებითა და თანამშრომლობით, ის იქნება წარმატებული და მოთხოვნადი.
სკოლისთვის მნიშვნელოვანია გუნდურობა, პროფესიონალიზმი, გამჭვირვალობა, სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა, ინიციატივების სწორი შეფასება და წახალისება, ადამიანის უფლებების პატივისცემა.
სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა მისიაშივე განსაზღვრავს, რომ შექმნის მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებულ, უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოს, ფოკუსს აკეთებს ტოლერანტობაზე, ხოლო სკოლის ხედვა გამოკვეთს, რომ თანამშრომლობა და პროფესიონალიზმი უმნიშვნელოვანესია მისიის მისაღწევად. სკოლის მნიშვნელოვანი ღირებულებებია ადამიანის უფლებების, სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა.
სკოლის გამართული ინფრასტრუქტურა, ინკლუზიური სასწავლო გარემო, სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები საშუალებას იძლევა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი აქ თავს გრძნობდეს უსაფრთხოდ. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო.
სკოლის მისიიდან და ხედვიდან ჩანს, რომ მას სურს იყოს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციოკულტურული სივრცე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან თავად დირექტორი და კათედრის ხელმძღვანელები. ჯგუფმა მუშაობა დაიწყო 2023 წლის 12 ივნისს და განახორციელა აქტივობები დაგეგმილ ვადებში, ჩაატარა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები, რაც გათვალისწინებულ იქნა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. ვიზიტის დროს გასაუბრება განხორციელდა ჯგუფის წევრებთან. სამუშაო ჯგუფს აქვს სკოლის გუნდისადმი მიკუთვნებულობის განცდა და ორიენტირებულია სკოლის წარმატებაზე. როგორც განაცხადეს, მათთვის საინტერესო აღმოჩნდა განხორციელებულ სამუშაო პროცესებში ჩართულობა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს ადმინისტრაციასთან და სამუშაო ჯგუფთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება მოხდა სამეურვეო საბჭოსთან, პედსაბჭოსთან. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა სკოლის მისიით, ხედვითა და ღირებულებებით განიხილა და დაამტკიცა სკოლის სამეურვეო საბჭომ 2023 წლის 6 სექტემბერს. გარკვეულ კლასებში დამრიგებლებმა მოსწავლეებს გააცნეს ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები, სადამრიგებლო საათზე შესთავაზეს განხილვა-გაზიარება. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ ეს პროცესები ახალი დაწყებულია და გეგმავენ, დაწყებითი კლასებისთვისაც შექმნან სკოლის ახალი მისიისა და ხედვის განხილვის ფორმატი მათთვის მარტივად აღსაქმელი ლექსიკით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია ტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

5. სკოლის არსებული მისია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე გამოკრულია სკოლის პირველი სართულის დერეფანში და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სკოლის ახალ პორტალზეც: https://bit.ly/47nAM4y
ინდიკატორი შესაბამისობაშია ტანდარტის მოთხოვნებთან.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448-15.09.2005 ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ტიპი და სახელწოდება: **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა**. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია ტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა - დამტკ. სამეურვეო საბჭოს ოქმით N2-06.09.2023;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, დამტკ. პედსაბჭოს ოქმით N1-07.09.2023;
- სამუშაო ჯგუფის დამტკიცების ბრძანება და სამუშაო გეგმა;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ სამუშაო ჯგუფთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსიფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონიტორინგის მექანიზმები. სტრატეგიული დაგეგმვა სკოლისათვის უმნიშვნელოვანესი ციკლური პროცესია, რადგანაც:

- ✓ქმნის საფუძველს, რომ სკოლამ თავად განსაზღვროს, თუ რა მიმართულება უნდა აირჩიოს სასურველი შედეგების მისაღწევად;
- ✓ქმნის კონკურენტული უპირატესობის მიღწევის საფუძველს;
- ✓საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს, მონაწილეობა მიიღოს და საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო მიზნების მიღწევაში;
- ✓ქმნის სტრატეგიული გეგმის პიროვნული და ორგანიზაციული კუთვნილების განცდას;
- ✓საშუალებას აძლევს სკოლას, არსებული გარემოს გათვალისწინებით დასახოს სამომავლო პრიორიტეტები.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი წრიულია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების 2023-2030 შვიდწლიანი გეგმა.

გეგმაში განსაზღვრულია მისიისა და ხედვის მიღწევის ამოცანები:

- ✓ორგანიზაციული განვითარება, სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა;
- ✓მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- ✓ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა;
- ✓არაფორმალური განათლების დანერგვა;
- ✓მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შიდა მექანიზმის დანერგვა და განვითარება;
- ✓უსაფრთხო გარემო;
- ✓შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება;

წარმოდგენილია ამოცანების შესაბამისი აქტივობები, მოსალოდნელი შედეგები, რიკები. მოცემული დოკუმენტი ითვალისწინებს პროცესის ციკლურობას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლის სტრატეგიული განვითრების გეგმის საფუძველზე ყოველწლიურად შემუშავებული იქნება სამოქმედო გეგმა და საჭიროების მიხედვით მოხდება მისი განვითარება/ცვლილება. სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია SWOT ანალიზის გათვალისწინებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში სკოლა განსაზღვრავს, რომ ყოველწლიურად მოხდება წლიური შედეგების შეჯამება, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები, რის საფუძველზეც განხორციელდება SWOT ანალიზი, პრიორიტეტები და დაიგეგმება ყოველი მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. მიმდინარე პერიოდში სამუშაო ჯგუფმა ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში განახორციელა სასკოლო გამოკითხვები, მოახდინა შედეგების ანალიზი და მისი გათვალისწინებით შემუშავდა სამოქმედო გეგმა.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა განახლებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და SWOT ანალიზი. SWOT ანალიზის დიაგრამაში ბუნდოვანია O-შესაძლებლობები და T-საფრთხეები. შესაძლებლობები და საფრთხეები გარე ფაქტორების გათვალისწინებით განისაზღვრება. მაგალითად, შესაძლებლობებში მითითებულია დამატებითი კლუბების შექმნა, რაც თავად სკოლის მიერ განსახორციელებელი პრევენციული აქტივობაა და მოცემულ დიაგრამაში არ უნდა ფიქსირდებოდეს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მითითებული იყოს - სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგები საკლუბო მუშაობის გაძლიერებისთვის. იგივე შეიძლება ითქვას რისკების ნაწილზეც. რჩევა: სასურველია სკოლა მეტად ჩაუღრმავდეს SWOT ანალიზის შევსების მეთოდოლოგიას და უფრო მკაფიოდ წარმოადგინოს შესაძლებლობები-რისკების ფორმულირებები, რაც დაეხმარება რეალისტური პრიორიტეტების განსაზღვრაში და სკოლის საჭიროებებზე კიდევ უფრო მეტად მორგებული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწ.წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ექვსი მთავარი ამოცანა, წარმოდგენილია თითოეული ამოცანის შესაბამისი აქტივობები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები.

ხარვეზი: სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ იყო წარმოდგენილი აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური).

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, ერთწლიანი გეგმა (2023-2024 სასწავლო წლის), სადაც გათვალისწინებულია 7 სტრატეგიული მიზანი, ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების რეალისტური ვადები, გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები. სასურველია რესურსები უფრო მკაფიოდ კლასიფიცირდეს ფინანსურ და ადამიანურ რესურსებად. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და შინაარსი სტანდარტის შესაბამისია, ხოლო მისი უზრუნველყოფა რეალისტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

<u>ინდიკატორი 1.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა - დამტკ. სამეურვეო საბჭოს ოქმით N2-06.09.2023;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023-2024 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, დამტკ. პედსაბჭოს ოქმით N1-07.09.2023;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის დამტკიცების ბრძანება და სამუშაო გეგმა;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ სამუშაო ჯგუფთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლას შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მეშვეობით სკოლამ უნდა განსაზღვროს, რა დონეზე შესრულდა წინა წლის მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის მიერ არჩეული სტრატეგია. სკოლის მინიტორინგისა და შეფასების სისტემა ითვალისწინებს SWOT ანალიზს, მონიტორინგის შედაგად გამოვლენილი საფრთხეების თავიდან აცილებას და გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებასა და გაძლიერებას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს სამეურვეო საბჭო. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. სასკოლო საზოგადოების მოთხოვნილებებისა და ინტერესების, დამოკიდებულებების შესასწავლად განსაზღვრულია სკოლის თანამშრომლების, დირექტორის, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის ჩატარება. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის მიერ გამოყენებული გამოკითხვის ფორმები - მოსწავლის, მშობლებისა და მასწავლებლის გამოკითხვის ანკეტები. ანკეტირებიდან მიღებული ინფორმაცია გათვალისწინებულ იქნა სკოლის SWOT ანალიზიში, რის საფუძველზეც შემუშავდა სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოცემულ ანკეტებს ყოველწლიურად გამოიყენებენ და მოახდენენ სასკოლო საზოგადეობის განწყობებისა და დამოკიდებულებების შეფასებას. სკოლა პირველადი ავტორზაციის რეჟიმშია და შესაბამისად, ჯერ მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი თუ კონკრეტულად რა პროცესები მიმდინარეობს სკოლაში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების თვალსაზრისით. ამიტომ, **მოცემული ინდიკატორი ვერ შეფასდა.**

3. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს წარადგენს სამეურვეო საბჭოსთან 10 დეკემბრის ანგარიშში, განთავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე და სკოლის პორტალზე. სკოლა პირველადი ავტორზაციის რეჟიმშია და შესაბამისად, **მოცემული ინდიკატორი ვერ შეფასდა.**
4. სკოლის ადმინისტრაციამ და სკოლის სამუშაო ჯგუფმა ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს წარადგენს 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს და გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **მოცემული ინდიკატორი ვერ შეფასდა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის დამტკიცების ბრძანება და სამუშაო გეგმა;
- გამოკითხვის ანკეტები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ სამუშაო ჯგუფთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია (დირექტორი, ბუღალტერი), სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწ. თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი: ექიმი, დარაჯი, ცეცხლფარეში, დამლაგებელი. სკოლაში არის ხუთი საგნობრივი კათედრა:

- სახელმწიფო ენის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს და გეოგრაფიის მასწავლებლები;
- მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ჭადრაკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები;
- უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსული ენის) მასწავლებლები;
- ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის და სპორტის მასწავლებლები;
- დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.

სამეურვეო საბჭოს, დირექტორის, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის უფლება-მოვალეობები გაწერილია „საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ“ და სკოლის წესდებაში. კათედრების, კათედრის ხელმძღვანელების, დამრიგებლების ფუნქცია-მოვალეობები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, საქმისმწარმოებლის - საქმისწარმოების წესში.
თითეული თანამშრომლის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში და სკოლის თანამდებობრივ ინსტრუქციებში. სტრუქტურულ ერთეულებს მისთვის განსაზღვრული ფუნქცია აკისრიათ ასევე სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლაში დასაქმებულ თოთოეულ თანამშრომელს, ასევე სტრუქტურულ რგოლებს დაკისრებული აქვს მისი ფუნქციის შესაბამისი აქტივობის განხორციელება/ ზედამხედველობა. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, კათედრებისა და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სტრუქტურული რგოლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს. სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში, სამოქმედო გეგმაში ფუნქციები გადანაწილებულია რელევანტურად. ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობა განაწილებულია ურთიერთთანამშრომლობის გზით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა (ნახაზი);
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის წესდება;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა - დამტკ. სამეურვეო საბჭოს ოქმით N2-06.09.2023;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023-2024 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები - დამტ. #2ს-45 20/10/2023;
- შრომითი ხელშეკრულებები,
- სამეურვეო საბჭოს ოქმები,
- პედსაბჭოს ოქმები,
- კათედრის ოქმები,
- სკოლის დირექტორის ბრძანებები,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს დაწესებულების წესდების, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით, სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები და წესი. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.
   სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა. დოკუმენტში მითითებულია, რომ სკოლა თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N68 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ხარვეზი: დოკუმენტი არ იყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი, ითვალისწინებდა ძველი ესგ-სა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის". ამასთან, დოკუმენტი ზოგადი ტიპის იყო და წარმოადგენდა ერთგვარ გზამკვლევს.

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულება. კერძოდ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. წარმოდგენილია პოლიტიკის მიზანი და გამოყენების სფერო, პოლიტიკის ამოცანები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, კადრების მოზიდვა და შერჩევა, მასწავლებლის შერჩევა, კონკურსის გამოცხადება, კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა, კონკურსის ეტაპები, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული დაკარიერული განვითარება და სხვა. დოკუმენტი ასახავს პერსონალის მართვის პროცესებს სკოლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; <u>ინდიკატორი 3.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

2. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. განსაზღვრულია პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები.
ქერეს საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის ფუნქცია მოვალეობები რეგულირდება შინაგანაწესით, თითოეულ მათგანთან იდება შრომითი ხელშეკრულება, რომლის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი. სკოლის შინაგანაწესი არაგულირებს დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოს სკოლამ თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები არ შეფერხდეს. შინაგანაწესში გათვალისწინებულია: სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დისციპლინური სახდელის დაკისრება/დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმა, გასაჩივრება, დისციპლინური წარმოების სპეციალური წესი, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა და მოქმედების ვადა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ბიულეტენის, დეკრეტული შვებულების შემთხვევაში ჩასანაცვლებელი კადრების არჩევა, რითაც სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლაში პედაგოგების შერჩევა ხდება "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლა აცხადებს შიდა, ან გარე კონკურსს, აქვეყნებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ადგენს საკონკურსო კომისიას, რომელშიც ჩართულები არიან როგორც შესაბამისი კათედრის მასწავლებლები, ასევე რესურსცენტრის წარმომადგენლები, მასწავლებლის სახლის და პროფკავშირის წარმომადგენლები. სკოლას კონკურსის შედეგად შეემატა რამოდენიმე ახალი მასწავლებელი შესაბამისი რეგულეციების სრული დაცვით, გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების საფუძველზე. თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა) ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით.

ხარვეზი: 2020 წლიდან მიღებული 5 მასწავლებლის პირად საქმეში წარსადგენი დოკუმეტების ჩამონათვალში (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) არ არის გათვალისწინებული ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინებულია კადრების მოზიდვისა და შერჩევის რეგულაციები, მათ შორის პირად საქმეში წარსადგენი დოკუმენტაცია, სადაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა.

ასევე, წარმოადგინა მასწავლებელთა ცნობები სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>ინდიკატორი 3.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

4. სკოლას საშტატო ნუსხით ჰყავს დირქტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, 1 დარაჯი, 1 დამლაგებელი, 1 სპეც. მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას ჰყავს 17 მასწავლებელი: მათგან 12 უფროსი, 4 წამყვანია, ხოლო 1 მასწავლებელი დროებითი(შემცვლელი) მასწავლებელია. მასწავლებელთა პირად საქმეებში ჩანს, რომ მათ გავლილი აქვთ სახვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების ტრენინგები და კურსები. მასწავლებელთა კვალიფიკაციები განსაზღვრულია სკოლის მიერ თანამშრომელთა მიღებისას გამოცხადებული კონკურსების პირობებში.

ხარვეზი: არ იყო განსაზღვრული სხვა თანამშრომლების კვალიფიკაციები. მაგალითად, საქმისმწარმოებლის, ბუღალტერის და ა.შ. სკოლას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია, რომ კონკრეტულ პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრას განახორციელებენ 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
რეკომენდაცია: 2023 წლის 20 დეკემბრამდე სსიპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლამ განსაზღვროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციების გათვალისწინებით.
<u>ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

5. სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს. სწორედ, გუნდური მუშაობის შედეგად განხორციელდა მისიის, ხედვის გადახედვა, ღირებულებების, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის, დასახული მიზნების, ამოცანების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადასინჯვის სისტემის შექმნა. სკოლის მმართველობითი რგოლია სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა. მასწავლებლები თანამშომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე კათედრებს შორისაც. ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი. ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლას დაგეგმილი აქვს არაფორმალური განათლების აქტივობები და საგანმანათლებლო სასკოლო პროექტები, რის ფარგლებშიც აქტიურად ითანამშრომლობენ კათედრებიც და მასწავლებლებიც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესები. მოტივაციის ამაღლების მიზნით, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- მადლობის გამოცხადება;
- სიგელით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- დისც. პასუხისმგებლბის ვადაზე ადრე მოხსნა.

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ინტერვიუირებით დასტურდება, რომ სკოლაში აღიარებული და გაზიარებულია მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;**
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,**
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი,**
- **საშტატო ნუსხა,**
- **EMIS ბაზის ამონაწერი თანამშრომელთა მონაცემებით,**
- **შრომითი ხელშეკრულებები,**
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება,**
- **კონკურსის გზით მიღებული მასწავლებლის პორტფოლიოები;**
- **ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ,**
- **მასწავლებელთა პირადი საქმეები,**
- **სკოლის დირექტორის ბრძანებები,**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან;**
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დამტკ. დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბერს #2/ს-55 ბრძანებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- **შესაბამისობის გეგმა.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (მექანიზმები და შეფასების ფორმები), სადაც მთავარ მიმართულებებს შორის განსაზღვრულია:
   - მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის შემდგომი განვითარებისა და პროფესიული ზრდისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ➢ სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის ხარისხის მართვის ჯგუფთან ერთად, მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასება, ხელშეწყობის მექანიზმების გამჭვირვალე, სამართლიანი პროცედურების შემუშავება და განხორციელება;

სკოლის შიდა შეფასება ითვალისწინებს ადმინისტრაციული პერსონალის, ტექ. პერსონალის შერჩევასა და შეფასებას. შეფასების მიზანია, პერსონალის პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების განსაზღვრა, განვითარების საჭიროებების დადგენა, თვითკმაყოფილების კვლევა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ინფორმირება შეფასების მექანიზმების შესახებ, შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმის შემუშავება და დახვეწა. სკოლას წარმოდგენილი აქვს დირექციისა, ადმინისტრაციისა და ტექ. პერსონალის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების გამოთვლის პრინციპები. დაბალი ქულის გამოვლენის შემთხვევაში, იწყება პერსონალის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა უშუალო კომუნიკაციის გზით, მისი პროფესიული ზრდისა და კომპეტენციების გასაუმჯობესებლად. ეს შეიძლება იყოს ტრენინგები, გადამზადების კურსები და სხვ.

პროფესიული განვითარების პროცესი მოიცავს: საჭიროებების დადგენას; პროფესიული განვითარების კონკრეტული პროგრამების/აქტივობების მომზადებას. ამ პროცესში აქტიურად ერთვება ხარისხის განვითარების ჯგუფიც.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება, სადაც იკვეთება, რომ გათვალისწინებულია სკოლაში მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების, მისი შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ხარისხის ჯგუფის ერთერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა ზრუნვა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია:

- ✓ პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა;
- ✓ ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება);
- ✓ ტრენინგ- სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა;
- ✓ სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზება/ სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება/განხილვა.

ხარისხის მართვის ჯგუფი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და მეტი გამოცდილი მასწავლებლებით. ჯგუფის წევრები დირექტორთან ერთად რეგულარულად ანხორციელებენ მასწავლებელთა დაკვირვებას საგაკვეთილო პროცესზე, ადგენენ მათ საჭიროებებს, რისი მიხედვითაც განისაზღვრება, თუ რა მიმართულებით სჭირდება მასწავლებელს განვითარება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. სკოლაში სამუშაოს მართვის ციკლია: მოტივირება, დაგეგმვა, მონიტორინგი, გაუმჯობესება და შეფასება.
   მასწავლებელს სთავაზობს პროფესიული განვითარების როგორც შიდა, ასე გარე მექანიზმებს. უკუკავშირისა და მასწავლებლის თვითრეფლექსიის საფუძველზე პედაგოგებს საშუალება ეძლევათ გამოავლინონ აქტუალური პრობლემები, შეიმუშაონ გადაჭრის გზები და მიიღონ მეტი გამოცდილება. დირექციის მხრიდან მასწავლებლის შესრულებული სამუშაოს შეფასება მოიცავს ორ ძირითად ეტაპს:
   - დაგეგმვა/პროფესიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება - მასწავლებლები შეიმუშავებენ ერთწლიან ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას. პროფესიული მიზნების განსაზღვრის მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებლების ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებას სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების განხორციელების პროცესში.
   - განხილვა/შეფასება ხდება - მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ, დირექციასთან ერთად, ჩართულია სკოლის შიდა საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი.

   მასწავლებლის მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშზე დაყრდნობით ხარისხის მართვის ჯგუფმა უნდა მოამზადოს დასკვნა მასწავლებლის საქმიანობის შედეგების შესახებ, გარდა ამისა, სპეციალური კითხვარის მეშვეობით მოხდება დირექციის მიერ მასწავლებლის შეფასება. გაწერილია შესაბამისი ინდიკატორები. დადებითი დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მასწავლებლის წახალისების თაობაზე. არადამაკამაყოფილებელი დასკვნის შემთხვევაში უნდა შემუშავდეს მასწავლებლის საქმიანობის გაუმჯობესების და საჭიროებების შემთხვევაში, შესაბამისი პროფესიული განვითარების გეგმა და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეფასდება მასწავლებლის მიერ მისი საქმიანობის გაუმჯობესება.

   რაც შეეხება პროფესიული განვითარების გარე მექანიზმებს, პედაგოგების გადამზადება ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ, მასწავლებელთა საკუთარი ნებითა და შეხედულებით არჩეულ ტრენინგებზე დასწრებით.
   ინდიკატინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. ხელშემწყობ აქტივობად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მზაობა, დროულად მიაწოდოს პერსონალს ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის ტრენინგებზე, ფორუმებსა და კონფერენციებზე, საგანმანათლებლო პროექტებსა და კონკურსებზე. მასწავლებლები ყოველ სასწავლო წელს გადიან მპგეც-ის მიერ დაგეგმილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სხვადასხვა სავალდებულო ტრენინგებს, უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგები 20 სთ, ხოლო წამყვანი მასწავლებლები 12 სთ.
სკოლა ჩართულია USAID დაწყებითი განათლების პროექტში, რის ფარგლებშიც სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკისა და ქართული ენის მასწავლებლებისგან შექმნილია სასწავლო ჯგუფები, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი დაგეგმვა, გაკვეთილების ჩატარება, უკუკავშირი და რეფლექსია.
სკოლა მუდმივად წაახალისებს პერსონალის კარიერულ ზრდას. მაგალითად, სკოლაში არიან თანამშომლები, როლებმაც გაიარეს მაძიებლობის პროგრამა და მიენიჭათ (სკოლის წარდგენით) უფროსი მასწავლებლის სტატუსი.
მასწავლებლების გარდა სკოლა ხელს უწყობს გაიაროს ტრენინგები სხვადასხვა პერონალმა: საქმისმწარმოებელმა, სკოლის ბუღალტერმა, ცეცხლფარეშმა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში, მას სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება დირექტორი, კათედრა. თანამშრომლები მიიღებიან გამოსაცდელი ვადით. სკოლაში ღია კონკურსის გავლის შედეგად შემოვიდნენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებელები. ისინი გამოხატავდნენ კმაყოფილებას სკოლის ადმინისტრაციისა და კოლეგების მხრიდან გამოჩენილი მახარდაჭერის გამო. ადმინისტრაციასა და კათედრებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა ახალ თანამშომლებს შესთავაზებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში ჩართულობას, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას, რაც კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ახალ თანამშრომელს ინტეგრაციაში.
რჩევა: სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის უფრო მკაფიო მექანიზმებს.

სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და მოგვიანებით, არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის რეგულაციებსა და პროცედურებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის მცდელობა აიმაღლონ პროფესიული უნარები თვითშეფასებისა და რეფლექსიების საფუძველზე, საჭირო რესურსების შეძენით (სკოლის ბიუჯეტის გათვალისწინებით). წახალისების ფორმებია ბრძანებით გამოცხადებული მადლობა, ერთჯერადი ფულადი პრემია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება,
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (მექანიზმები და შეფასების ფორმები)
- კონკურსის გზით მიღებული მასწავლებლების პორტფოლიოები,
- ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ,
- მასწავლებელთა პირადი საქმეები,
- სკოლის დირექტორის ბრძანებები,
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები/სერთიფიკატები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.
- ინტერვიუ სკოლის ბუღალტერთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად.

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მუდმივად ხდება სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება, რომელიც ციკლური ხასიათისაა, რაც გულისხმობს პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას მოსწავლეთა კომპეტენციის თვალსაზრისით. სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (სტრუქტურული ერთეულები, მასწავლებლები, მოსწავლეები და სხვ.) და ეფუძნება ყველა მხარის ჩართულობას და გაძლიერებას. მართვის პროცესის შეფასება სკოლის წარმატების მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტია. მართვის პროცესის შეფასება გულისხმობს სკოლის დირექციის მიერ სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებას და დაკვირვების შედეგების შესახებ თანამშრომლების სისტემატურ ინფორმირებას და რეაგირებაზე კონტროლს.
   სამუშაოს მართვის პროცესის გაუმჯობესებისათვის სკოლა იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა: საქმიანობის დაგეგმვა, შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, შესრულებული სამუშაოს შეფასება და თანამშრომელთა მოტივირება.
   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რაც მკაფიოდ და სისტემურად განსაზღვრავს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლის წესდებაში - სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სააპელაციო კომიტეტის, ადმინისტრაციის ფუნქციები და როლი მმართველობით პროცესებში. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება ძირითადი პროცესები - ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. აქედან ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ.
   სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება:
   - სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო;
   - სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები;
   - შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები;
   - შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
   - შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება;
   - დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა;
   - მოსწავლეების წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი;
   - მატერიალური პასუხისმგებლობა;
   - მოსწავლის ჩაცმულობის წესი;
   - შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები;
   - განცხადების/საჩივრის განხილვა;

   შინაგანაწესის მიზანია:
   - სკოლის საქმიანობისათვის ხელშეწყობა, სკოლის მისიის შესრულება და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;
   - სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი და მისი თანამდევი ურთიერთობის მოწესრიგება და კონტროლი;
   - სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;
   - სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება და რაციონალური გამოყენება;
   - სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება და კონტროლი.

   თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, სადაც იკვეთება სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესებიც. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია დამრიგებლის, კათედრების ფუნქცია-მოვალეობები და მათ მუშაობასთან დაკავშირებული პროცესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბუღალტერმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა (2023-2030), წლიური დაგეგმვა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება და ა. შ. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ შესული განცხადება/საჩივარი გატარდება რეგისტრაციაში და მათზე რეაგირება მოხდება კანონით გათვალისწინებული. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით.
   სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, თუმცა ეს სისტემა არ არის გაწერილი და გამოიხატება სკოლაში მიმდინარე სამუშაო პროცესებში;

   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- მასწავლებელთა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები,
- მშობლებთან დასადები ხელშეკრულებები,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას სკოლა აქვეყნებს სკოლის პირველი სართულის ფოიეში განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები (მაგალითად სამეურვეო საბჭოს, დისც. კომიტეტის სხდომაზე მოწვევა). სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს სასკოლო საზოგადოებასთან უწყვეტ კომუნიკაციას. ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდება მშობელთა კრებები, შეხვედრები მოსწავლეებთან. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების საუკეთესო საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://onlineschool.emis.ge/, სკოლის ელ-ფოსტა, მესენჯერი.
   ყოველი კვირის პარასკევს მოსწავლის მშობელს შეუძლია სკოლაში მოსვლა და მისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება, კლასის დამრიგებლები ყოველდღიურად აქტიურად თანამშრომობენ მოსწავლეთა მშობლებთან და აქვთ კომუნიკაცია ტელეფონის, სოც. ქსელის საშუალებით, რითაც სწრაფად მოეწოდებათ ინფორმაცია.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლის სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ირჩევა სამ წელიწადში ერთხელ. ასევე, წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა მშობლებსაც შესთავაზებს თანამშრომლობის მრავალფეროვან აქტივობებს, სასკოლო პროექტებში ჩართულობას, მაქსიმალურად გაითვალისწინებს მათ ინიციატივებს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თანაბარი უფლებამოსილებით სარგებლობს სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **პედ. საბჭოს ოქმები,**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმები,**
- **სკოლის ელ ჟურნალი:** https://onlineschool.emis.ge/,
- **სკოლის სოც. გვერდი:** https://www.facebook.com/profile.php?id=100055211807922
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლამ 2022 წლის 29 სექტემბერს სკოლამ მიიღო სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N171. მიწერილობაში აღნიშნულია, რომ შენობის მდგომარეობა სრულიად შეესაბამება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებს. ამავე დასკვნის საფუძველზე სკოლაში განისაზღვრა სკოლის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
ხარვეზი: სკოლამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა 2023 წლის 24 ოქტომბერს შესათანხმებლად გაგზავნა შშშ საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში. ვიზიტის დროს სკოლას შეთანხმებული გეგმა არ წარმოუდგენია.

სკოლას მიღებული აქვს გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ბ20-202229921-26/10/2022 ახლადრეაბლიტირებული შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ და მისი საფუძველი - ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ N279 26/10/202. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ დასკვნაში ფიქსირდება, რომ მშენებლობადამთავრებული საჯარო სკოლის შენობა ექსპლუატაციაში მისაღებად შეფასდა „დამაკმაყოფილებელი“ და რეკომენდაციას უწევს მის ექსპლუატაციაში მიღებას.

სკოლის ტერიტორიაზე მოქმედებს 8 გარე ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა.
ხარვეზი: სკოლას არ აქვს შიდა სამეთვალყურეო კამერები, სკოლაში არ არიან მანდატურები, შესაბამისად, მუდმივ რეჟიმში ვერ კონტროლდება სკოლის შიდა სივრცე. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლაში. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადების ტრენინგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტის დროს დათვალიერებითა და ექთანთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და სამუშაო პროცედურები ბრძანების შესაბამისია. სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რადგანაც სოფელში/თემში არსებობს ექიმის კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დეფიციტი. ექთანი დოკუმენტაციას აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმების შესაბამისად.

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, 2023 წლის 29 ნოემბერს სკოლიდან გაგზავნილი წერილი MES5230001620006 სსიპ საგამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში. სკოლა ითხოვს მხარდაჭერას სააგენტოს მხრიდან შიდა სათვალთვალო კამერების დამონტაჟებასთან დაკავშირებით.

სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც დაგეგმილია:

- ***2024 წლის 20 ნოემბრამდე შიდა სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება.***
- ***2023 წლის 30 დეკემბრამდე საგანებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, დამტკიცება და შეთანხმება შესაბამის უწყებასთან.***

შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილია მოცემულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები, ჩართული მხარეები, რისკები და მტკიცებულებები.

<u>ინდიკატორი 4.1.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლაში. მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლას ჰყავს დარაჯი, დირექცია. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ცხელი ხაზის ნომერები. სამომავლოდ სკოლამ დაგეგმა მოსწავლეებისთვის უსაფრთხოების თემაზე ტრენინგის ჩატარება და კვალიფიციური სპეციალისტის მოწვევა. სკოლას აქვს პანდუსი, რაც უზრუნველყოფს შშმ პირების სკოლის პირველ სართულზე თავისუფალ გადაადგილებას. სკოლის შესასვლელში, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად არის სკოლის თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს და აწარმოებს მათ აღრიცხვას. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების შესვლა მკაცრად კონტროლდება. საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ქცევის წესები, მორიგეობისა და გაკვეთილების ცხრილი. სკოლას აქვს შემუშავებული უსაფრთხოების ზომების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია, სადაც აღწერილია სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის მარეგულირებელი წესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები/სად. საათი, ტოლერანტობისა და ბულინგის, კიბერბულინგის საკითხების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ასახულია "მე და საზოგადოების", „სამოქალაქო განათლების", „ბუნებისმეტყველების" და სხვა საგნობრივი პროგრამების კურუკულემებში. სკოლის დერეფნებში გამოკრულია ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - სველ წერტილებში არის თხევად საპონი, საპირფარეშოს ქაღალდი და ხელსახოცი. ყველა სართულსა და დერეფანში განთავსებულია სანაგვე ურნები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგიენის დაცვას. სველი წესით იწმინდება დერეფნები. სკოლას ემსახურება 1 დამლაგებელი. შემუშავებული აქვთ სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელია სკოლის ექთანი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია "სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები", რომელიც სრულად არეგულირებს ამ პროცესს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთან დადებული შეთანხმების ფორმით იკვეთება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის პირადი ინფორმაციის საჯაროდ გამოყენებისას (ფოტოები, ვიდეოჩანაწერები და სხვა) მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ნორმებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

6. სკოლას სრული პერიმეტრი დაფარულია WIFI ქსელით. მასწავლებლები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები student.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციები. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა შეზღუდულია მოსწავლეებისათვის. სკოლა ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

7. ყოველწლიურად 10 დეკემბრისთვის სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სკოლა ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერთან და პარლამენტთან საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობის შესახებ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი -#2/ს-4724/10/2023.
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია,
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი,
- სახანძრო მიწერილობა #171,
- ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ,
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (დამტკიცებულია დირ. ბრძანებით N2/ს-47 24/10/2023);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- **სადამრიგებლო პროგრამები;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;**
- ***დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის წერილი MES5230001620006;***
- ***შესაბამისობის გეგმა.***

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას.

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტ სოფელ ქერეში 6000 კვ.მ მიწის ფართობზე. 2022 წლიდან სკოლის შენობა ხელახლა შენდა ძველ ფართზე ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.
   N1 ძირითადი შენობა ერთსართულიანია და მისი საერთო ფართობია 774,2კვ.მ.
   სკოლის ეზოში არის მცირე ნაგებობა (309კვ.მ), სადაც განთავსებულია სკოლის საქვაბე და გათბობის სისტემის მოწყობილობები. სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი (309 კვ.მ) და სარეკრეაციო ზონები. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით.
   სკოლა შენობას ფლობს უზურფრუქტის საფუძველზე, არის სახელმწიფო ქონების მოსარგებლე.
   სკოლას აქვს:
   - ცენტრალური შესასვლელი და დერეფანი,
   - დირექტორის კაბინეტი,
   - საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სველი წერტილით, დამხმარე ოთახით, გამწოვი სისტემითა და ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის გარკვეული აღჭურვილობით, საგანმანათლებლო რესურსებით.
   - ბიბლიოთეკა, სადაც გარკვეულ ზონაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია 2 ქსელში ჩართული კომპიუტერით,
   - ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები (2-2 სვ. წერტ),
   - სამასწავლებლო,
   - სამედიცინო კაბინეტი,
   - კვების ბლოკი,
   - 10 საკლასო ოთახი.

   სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი. გარე სპორტული მოედანი კეთილმოწყობილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საკლასო ოთახებში სასკოლო მერხების საერთო რაოდენობა შეადგენს 107 ერთეულს. მიმდინარე ეტაპზე სკოლაში ირიცხება 40 მოსწავლე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და რესურსებით. საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო რესურსები საგნობრივი პროგრამების შესაბამისად, გრაფიკული ორგანეიზერები, ტაბლოები, წიგნები, მანიპულატივები, ფიგურები და სხვა. რესურსები გათვალისწინებულია მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს 7 ლეფთოფი, 2 მომუშავე კომპიუტერი, 2 პროექტორი, 4 პრინტერი, 1 ტენისის მაგიდა, ჭადრაკის დაფა და მრავალფეროვანი რესურსები, ასევე აღჭურვილია მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია მაგნიტური დაფები, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა. სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, რაც ხელმისწავდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ეს ყველაფერი თითოეულ მოსწავლეს საშუალებას აძლევს აქტიურად და ნაყოფიერად ჩერთოს სასწავლო პროცესში.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა სკოლა იღებს სახელმძღვანელოებს, რაც აღრიცხული და დანომრილია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, მცირე რაოდენობის მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები და ა.შ. სკოლა რესურცენტრიდან იღებს ჟურნალ „მასწავლებელს“, რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინრე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ყველა არსებულ წიგნს პირველ და მე-17 გვერდზე სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკაში მხატვრული წიგნების რაოდენობა მწირია, საჭიროა წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნება.

ხარვეზი: ბიბლიოთეკა არ ფუნქციონირებს „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ არის განსაზღვრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი/დებულება, რაც დაარეგულირებს ბიბლიოთეკაში წიგნების მიღებისა და გაცემის რეგულაციებს, ბიბლიოთეკის ფუნქციონირება ძირითადად შემოიფარგლება სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარებით, რასაც აწარმოებენ კლასის დამრიგებლები. სკოლას საშტატო ნუსხით არ ჰყავს განსაზღვრული ბიბლიოთეკარი და მისი ფუნქციები შეთავსებული აქვთ კლასის დამრიგებლებს. ბიბლიოთეკის ფუნქციონირება ძირითადად შემოიფარგლება სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარებით, რასაც აწარმოებენ კლასის დამრიგებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვიზუალური დათვალიერებისას სკოლაში აღმოჩნდა ვრცელი კაბინეტი, სადაც დაგეგმილია IT ლაბორატორიის მოწყობა, განთავსებულია შესაბამისი მაგიდები, თუმცა ტექნიკა სკოლას არ გააჩნია. დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ელოდება ახალი კომპიუტერების მიღებას.

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება. დებულებაში მოცემულია ბიბლიოთეკის მუშაობის მიზნები და ამოცანები, ორგანიზება და მართვა, ბიბლიოთეკარის ფუნქციები, უფლებები, მკითხველის ვალდებულებები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების აღწერა, ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ასევე, სკოლის ბიბლიოთეკარის ფუნქცია ბრძანებით დაევალა ერთერთ მასწავლებელს. მოცემული მტკიცებულებების გათვალისწინებით, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, სასკოლო საზოგადოებას მეტი ხელმისაწვდომობა ექნებათ სკოლის ბიბლიოთაკასთან.

<u>ინდიკატორი 3.5.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

3. ინკლუზიური სასწავლო გარემოს ფორმირება სკოლის პრიორიტეტია. სკოლა ერთსართულიანია. სკოლას აქვს გარე პანდუსი, რომელიც შედის სკოლაში. სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს სკოლაში შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო თითოეული მოსწავლისთვის. ყველა საკლასო ოთახი დანომრილია, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, სიტყვების კედელი, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია საკლასო ოთახების, რესურსოთახის, საპირფარეშების აბრები, შემოსასვლელისა და გასასვლელის ნიშნულები. სკოლაში გამოკრულია საევაკუციო გეგმა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებულ შესაბამის, უსაფრთხო გარემოს. სკოლის რესურსოთახი აღჭურვილია სხვადასხვა საჭირო რესურსით.

ინდიკატორი შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლაში არის შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლას აქვს კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები:
   გარე სპორტული მოედანი, სკოლას აქვს ტენისის მაგიდა და სპორტული ინვენტარი, უამინდობის დროს შესაძლებელია სკოლის შიდა სივრცეში(ფოიეში) სპორტული აქტივობების განხორციელება;
   ჭადრაკის დაფები,
   მაგნიტური დაფები,
   პროექტორები (2 ცალი),
   კომპიუტერული ლაბორატორია და WIFI ინტერნეტი,
   პოსტერები, რუკები, ცხრილები, თვალსაჩინოებები, სახარჯი საკანცელარიო მასალები.
   სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.
   სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტი სველი წერტილით და გამწოვი სისტემით, თუმცა არ აქვს საჭირო აღჭურვილობა.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- მიღება-ჩაბარებების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის დებულება;
  - გრიფირებული სახელმძღვანელოები;
  - ინვენტარიზაციის წიგნი;
  - სკოლის ვიზუალური დათვალიერება.
  - შესაბამისობის გეგმა;
  - სკოლის დირექტორის ბრძანება 1/კ-28 22/11/2023 ბიბლიოთეკარის მვალეობის დაკისრების შესახებ;
  - სკოლის დირექტორის ბრძანება 2/ს-52 02/11/2023 ბიბლიოთეკის მუშაობის დებულების დამტკ. შესახებ.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციის, კანცელარიის, სამასწავლებლოს სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური კომპიუტერები და ლეფთოფები, პრინტერები. სკოლას მიღებული აქვს პორტაბელური კომპიუტერები, რომელსაც აქტიურად იყენებენ მასწავლებლები და კათედრები.თითოეულ პედაგოგს აქვს შესაძლებლობა ამ რესურსის გამოყენებით გაკვეთილი ჩაატროს და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავაზოს მოსწავლეებს, შესრულდეს სხვადასხვა აქტივობა, კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები ელექტრონული რესურსის გამოყენებით. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ინტერნეტი ხშირად ითიშება, დაბალი ხარისხისაა და ქმნის ბარიერებს სამუშაო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლის პერსონლისთვის. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები იყენებენ ბუკებს. ბუკები გადაეცემათ ასევე კლასის დამრიგებლებსაც. სკოლა აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 2 კომპიუტერით, კომპიუტერები მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. სკოლას აქვს ასევე 2 პროექტორი და 7 ლეფთოფი, რასაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ.
- ელექტრონული ჟურნალი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან .

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის დანერგილია და პრაქტიკაში მუშაობს საქმისწარმოების ღია, მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით.
   სკოლა აწარმოებს ჟურნალებს მატერიალური სახითაც:
   - საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - გასული დოკუმენტაციის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - შემოსული დოკუმენტაციის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - თანამშრომელთა ხელშეკრულებების ჟურნალს.

   სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.
   მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადიობის მოწმობის ასლები, ფოტო, ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან, მოსწავლეთა დახასიათებები და სხვა.
   სკოლას გაწერილი აქვს საქმისწარმოების წესი. საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საქმისწარმოება მოწესრიგებული და კანონმდებლობის შესაბამისია.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. ამის გარდა სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა kere@mes.gov.ge , სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელ ყველა უწყებას ინფორმაციას. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პროტოკოლი - 10 დეკემბრის ანგარიშის სახით. eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის eflow და eschool ციფრული პლატფორმები;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი და ვიზიტის დროს გადამოწმებული საქმისწარმოების შესაბამისი დოკუმენტები;
- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- თანამშრომელთა, მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- გასაუბრება საქმისმწარმოებელთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ-გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალურ ქსელში არსებული პერსონალური გვერდითა და პორტალით: https://bit.ly/47nAM4y.
   სკოლა ფეისბუქ გვერდით აქტიურად ასახავს ინფორმაციას სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. სკოლას ოფიციალური ვებ-გვერდი მოგვიანებით შეიქმნა მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით.
   სკოლის facebook გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. სკოლა საჯარო დანიშნულების ინფორმაციას განათავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე. ასევე, მშობელთა კრებებზე - დამრიგებლების მეშვეობით. ასევე იყენებს სკოლის სოციალურ გვედს. კლასის დამრიგებლები მშობლებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებენ Facebook, Messenger ჯგუფებს, სკოლის ელექტრონული ჟურნალით.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად, ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებს აღნიშნულს.
   სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის პედაგოგთა Facebook გვერდს https://www.facebook.com/profile.php?id=100055211807922 . პედაგოგთა თქმით, ამ გვერდზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსული ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები და ა.შ. ინფორმაცია ზიარდება სანდო წყაროზე დაყრდნობით.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოყენებს სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას აქვს ელ. ჟურნალი, ელ. პლატფორმა -TEAMS და სოციალური გვერდი. დირექციის განმართებით, სასკოლო ელ. გამოკითხვები ამ სივრცეში წარიმართება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი https://bit.ly/47nAM4y, რომელიც შექმნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრდაჭერით. თუმცა შინაარსობრივად არ არის შევსებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

5. სკოლის პორტალზე წარმოდგენილია სტანდართით გათვალისწინებული ძირითადი ინფორმაცია სკოლის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, თუმცა დასამატებელია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები და სტრუქტურა. ***რჩევა:*** **სასურველია სკოლის პორტალზე წარმოდგენილი იყოს მეტი ინფორმაცია სკოლის შესახებ, მარეგულირებელი დოკუმენტები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.**

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის სოც. ფეისბუქ გვერდი:** https://www.facebook.com/profile.php?id=100055211807922
- **სკოლის პორტალი: https://bit.ly/47nAM4y**
- **ვიზუალური დათვალიერება;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, საქმისმწარმოებელთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია მოსწავლის ვაუჩერული დაფინანსებიდან, მასწავლებელთა სახელფასო დანამატებით. სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლა ფინანსურად მდგრადია. სკოლას აქვს თანხის დანაზოგი და გეგმავს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნებას.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
2. სკოლა ყოველი წლის ნოემბერში ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და წარადგენს შესაბამის სამსახურთან. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს, დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ წარადგენს ფინანსურ ანგარიშს. სკოლის ბუღალტერი თანამშრომლობს თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფინანსისტთან, რის ფარგლებშიც ხდება წლიური ბალანსის წარდგენა, სკოლაში მიმდინარე ფინანსური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023 წლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ბიუჯეტი და დაფინანსების დინამიკა;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- შესყიდვების გემის დამტკიცების ბრძანება;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- გასაუბრება სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა, შექმნილია დაცულობის და ურთიერთმხარდაჭერის გარემო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლიც წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციით, სკოლა (კლასის დამრიგებლები) აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა. დაგეგმილია სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია - ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინაამღდეგ, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.
   პედაგოგები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არსებული ურთიერთობები მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე, მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის საშუალებები, წესები და პროცედურები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, რომელიც სკოლას გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის. შინაგანაწესში გათვალისწინებულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, სკოლაში ჩაცმულობის წესი.
   განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.
   აგრეთვე, სკოლას აქვს შინ სწავლების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის შესახებ, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს საბაზო განათლების მიღების თანაბარი უფლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ადგილზე ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე, სკოლის მიერ პრევენციის მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე და საინფორმაციო შეხვედრებზე როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. თითოეული კლასის დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია კათედრებთან ერთად ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას, უფლებების დაცვასა და მოვალეობებს. სკოლაში ორივე საფეხურზე ეტაპობრივად ინიშნება კლასის საათი, სადაც განიხილება საორგანიზაციო საკითხები მოსწავლეთა უფლებების/მოვალეობების შესახებ, როგორ არის შესაძლებელი ამ უფლების დაცვა და რა მექანიზმები არსებობს. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით. სკოლის დირექტორის განმარტებით მიმდინარე წელს ერთ - ერთი პრიორიტეტი იყო მშობელთა ჩართულობის გაძლიერება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. მუშაობა აქტიურად გაგრძელდება 2023 – 2024 სასწავლო წელსაც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.

რჩევა: სასურველია, ხელშეკრულებები გატარდეს სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი,
- მშობელთან დადებული ხელშეკრულებები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- გასაუბრება სკოლის მასწავლევლებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მოცემული წესი სკოლაში განსაზღვრავს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, პირველ კლასში ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის მოპოვების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და მობილობის დროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენის წესებსა და პროცედურებს, ასევე მკაფიოდ განსაზღვრულია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელქტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში. სკოლა არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში იღებს ყველა მოსწავლეს, დისკრიმინაციის გარეშე. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს, რასაც მოწმობს სკოლის ელექტრონული ბაზა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ გაიცემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი, რაც განიხილება და მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა 2023-2024 სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობის სიმცირიდან გამომდინარე, აპირებს შექმნას პირველ (4 მოსწავლე) და მე-2 (4 მოსწავლე) კლასების კლას-კომპლექტი (სულ 8 მოსწავლე) სპორტისა და ფიზიკური აღზრდაში. მოსწავლეებს მე-5 კლასიდან უფლება აქვთ აირჩიონ მეორე უცხოური ენა (ფრანგული, გერმანული, რუსული), სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბები. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა წინასწარ გაეცნოს არსებულ შეთავაზებებს. სკოლას მიმდინარე პერიოდში არ აქვს რაიმე ტიპის დამატებითი ფასიანი მომსახურება. სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია ღიაა და გამჭვირვალეა, ყველა სიახლე ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე და სკოლის პორტალზე, ასევე სკოლის ცენტრალურ შესასვლელში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, ასევე ინფორმაციას კლასის დამრიგებლები აწვდიან სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებსაც და მათ მშობლებსაც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლაში მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს სასკოლო რესურსებით, ჩაერთოს აქტივობებში, მიიღოს ინფორმაცია პროექტების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ყველა წესის დაცვით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ. დირ. ბრძანებით #2ს-41 20/10/2023);
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ბრძანებები: მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებაზე, მობილობაზე, მოსწავლის ჩარიცხვაზე, განსხვავებულ ვადებში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ, შეტყობინება სტატუსის შეჩერებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთეკრულებაი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. აღნიშნული წესი მოიცავს შემდეგ მუხლებს: მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპი და მნიშვნელოვანი ფაქტორები; დეზადაპტაციის ნიშნები; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები; წარმატებული ადაპტაციის ნიშნები; რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას; წესის გაცნობა.
   სკოლას ინფრასტრუქტურული თვალსაზრისითაც სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ბევრი პირობა გააჩნია. სკოლას აქვს ყველა რესურსი იმისთვის, რომ მოსწავლემ იგრძნოს თავი მშობლიურ გარემოში და იყოს დაცული. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მიერ წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებები მოსწავლეს და მშობელს შეუქმნის წარმოდგენას მომავალ სასკოლო ცხოვრებაზე.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლას მოსწავლეთა ადაპტაციის წესში გათვალისწინებული აქვს პირველკლასელთა ადაპტაციის წესები და პროცედურები. მნიშვნელოვანია, რომ პირველკლასელისთვის სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდეს სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წიგნების დათვალიერება და სასკოლო სიტუაციების აღწერა. თუ ბავშვის დედმამიშვილები დადიან სკოლაში, მათი მაგალითების აღწერა, სასკოლო თემასთან დაკავშირებული მოკლე ვიდეოების/ანიმაციების ყურება და ბავშვთან ერთად მისთვის გასაგები ფორმით განხილვა. ეფექტურია ბავშვთან ერთად ვიზიტის განხორციელება სკოლაში და გარემოს მონახულება, კომუნიკაციის დამყარება დამრიგებელთან და სხვა მასწავლებლებთან. აღნიშნული ვიზიტი წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი და სკოლა ბავშვს უნდა დახვდეს მომზადებული. სკოლაში ვიზიტის დროს, კლასის ეზოს და სპორტული მოედნის მონახულებასთან ერთად, ერთ-ერთ მნისვნელოვან კომპონენტს წამოადგენს ბავშვისთვის სკოლის სველი წერტილების გაცნობა.
   სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ასევე საყურადღებოა მოსწავლის მე-4 კლასიდან მე-5 კლასში გადასვლის კრიზისული ეტაპი, როდესაც მოსწავლეებს აქვთ ახალ გარემოსთან, ახალ მასწავლებლებთან შეგუების ფსიქო-ემოციური ფონი, სკოლა ამ ეტაპზეც შესთავაზებს მოსწავლეებს შესაბამის აქტივობებს.
   სკოლას აქვს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, საპირფარეშო, ბიბლიოთეკა/კომპიუტერული ლაბორატორია, გარე სპორტული მოედანი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი და სხვა განმავითარებელი რესურსები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეებს შესთავაზებენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, კლასგარეშე აქტივობებს, არაფორმალურ შეხვედრებსა და გასვლით აქტივობებს, რაც ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოში. ამ მიმართულებით აქტიურად ითანამშრომლებენ მოსწავლის მშობელთანაც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. მოსწავლე სკოლიდან მიიღებს აქტიურ მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამისათვის სკოლა გამოიყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი საგნობრივი პროგრამები მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ ამის გათვალისწინებით. მოსწავლეთა საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები გეგმავენ განახორციელონ ინდივიდუალური შეხვედრებიც.

   სკოლაში მესამე თაობის დანერგვის სრული პროცესი მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე, ამ მიმართულებით სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს, რომელიც ორიენტირებულია მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე. ამის გარდა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბურ მომსახურებას. სკოლა აქტიურად ჩაერთვება სასკოლო ოლიმპიადებსა და კონკურსებში. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დიაგნოსტიკური შეფასებები, რისი მიზანიცაა მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ინტერვენციების გათვალისწინება, ასევე სასწავლო მოეთოდოლოგიისა და კურიკულუმის გაუმჯობესება.

   ასევე მნიშვნელოვანია მშობელი ყოველდღიურ რეჟიმში იღებდეს ინფორმაციას სკოლის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით შვილის აკადემიურ შედეგებზე. საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდებსთვის მოსწავლეს დაეხმარება დამრიგებელი, რომელიც ზრუნავს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე და აწვდის მოსწავლის მშობელს ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით - სკოლის ექსტერნის, ოლიმპიადების, სემესტრული გამოცდების, საშემდოგომოს ჩატარების წინ ყველა მოსწავლეს წინასწარ შექმნილი გრაფიკის საფუძველზე უტარდებათ კონსულტაციები. საჭიროების შემთხვევაში სკოლა სთავაზობს მოსწავლესა და მის მშობელს შინ სწავლების მომსახურებას, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

საქმის მწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში. სასწავლო წლის დასაწყისში მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ რა შემთხვევაში შეიძლება მოუწიოს მოსწავლეს ექსტერნის ფორმით კლასის დაძლევა, რა შემთხვევაში შეუძლიათ სემესტრული გამოცდის მოთხოვნა და რა ვადებში. ეს ინფორმაცია მიეწოდება მოსწავლეებს დამრიგებლის მიერ და მშობლებს მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით წახალისებულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობები და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი საფეხურების მოსწავლეთა მიერ. მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს თვითმმართველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. მოსწავლეთა თვითმმართველობა:

ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;

ბ) უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;

გ) ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში;

დ) სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;

ე) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს

სკოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლასის დამრიგებელიც, რომლის ფუნქციებშიც წარმოდგენილია არაფორმალური განათლების აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა; ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოფენილი იყო სასკოლო პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოები და პოსტერები.

სკოლის მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრის სახით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- ჭადრაკის წრე I-IX კლასებში;
- ხელოვნების კლუბი I-IX კლასებში;
- მკითხველთა კლუბი-I-IX კლასებში

ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურილი, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც. სკოლაში დაგეგმილია სასკოლო პროექტები: „როგორ გავუფრთხილდეთ გარემოს“, როგორ გავუფრთხილდეთ ჯანმრთელობას“, ,,ენა ბურჯია ერისა”. დაწყებით საფეხურზე მიღებული პრაქტიკაა სადღესასწაულო დღეებისთვის განსაკუთრებული საზეიმო აღნიშვნები, საახალწლო, საშობაო, საათდგომო, ტოლერანტობის, საშემოდგომო, საგაზაფხულო ღონისძიებები და აქტივობები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

6. მასწავლებელთა ინტერვიუირებით იკვეთება, რომ მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთაგან უკუკავშირის მისაღებად სკოლა გეგმავს განახორციელოს მოსწავლეთა მშობელთა/მეურვეთა გამოკითხვები. მშობელთა მაქსიმალური ჩართულობით, მოსწავლის სასკოლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებით, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების კუთხით, მასწავლებლებთან სწორი კომუნიკაციით, მოხდება მოსწავლის ჩამოყალიბება ჰარმონიულ, სრულფასოვან, განათლებულ პიროვნებად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სადამრიგებლო პროგრამები,**
- **სკოლის სოციალური გვერდი.**
- **სასკოლო პროექტების პორტფოლიოები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- კლუბის წესდება;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივ პროგრამებში, სადამრიგებლო საათებზე, სამოქალაქო განათლების ფარგლებში აქტიურად განიხილება პროფესიული ორიენტაციის საკითხები. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, დაგეგმილია 8 გაკვეთილი - IX კლასში. გათვალისწინებულია საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი;
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. კარიერული განვითარების შესაძლებობებთან დაკავშირებით სკოლა მუდმივად მიაწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას განათავსებს სკოლის სოციალურ გვერდზე. სასწავლო წლის დასასრულს საფეხურის შემდომი კარიერული განვითარების მიზნით დაგეგმილია მე-9 კლასის მოსწავლეების წაყვანა კულას ქარხანაში. სსიპ გორისმუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წელს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშწყობისათვის დაგეგმილია აქტიური თანამშრომლობა გორის პროფესიულ კოლეჯ „განთიადთან“, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევის გათვალისწინებით, სკოლა მოახდენს გაწეული მომსახურების ხარისხიანობის შეფასებასა და გასაუმჯობესებას. სკოლა საბაზოა, მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლას აგრძელებს საშუალო საფეხურზე. სკოლა მშობელს დაეხმარება იმ სასწავლო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის გადაცემაში, სადაც მოხდება ბავშვების გადინება. ასევე მიაწვდის რეკომენდაციებს, როგორ იმოქმედონ და რა სახის დოკუმენტაცია წარადგინოს სწავლის გასაგრძელებლად.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო;
- სადამრიგებლო პროგრამები,
- ფოტომასალები;
- „მე და საზოგადოების“, „სამოქალაქო განათლების“ კურიკულუმის ჩარჩოები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023-2024) ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრინციპები. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; დანართის სახით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. თითოეულ ნაწილში განმარტებულია თუ რა მოიაზრება მათ ქვეშ, რა არის გასაკეთებელი თითოეული მიმართულებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლის განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მშობელი მონაწილეობს ინდივიდუალური გეგმის შედგენის განხილვაში, ეცნობა ბავშვის მიღწევებს, ნამუშევრებს, ითვალისწინებს საგნის მასწავლებლების, დამრიგებლის და სპეცმასწავლებლის რეკომენდაციებს. მულტიდისციპლინული გუნდის დასკვნის საფუძველზე და მოსწავლეზე დაკვირვების შედეგად მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ სსსმ მოსწავლის საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლის მიხედვითაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და რომლითაც ხელმძღვანელობენ წლის განმავლობაში. საგნის პედაგოგები იღებენ რეკომენდაციებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დირექციისგან. ისგ ჯგუფის მიერ შეიმუშავებულია ინდ. გეგმა. სკოლაში ამ ეტაპზე არის 1 სსსმ მოსწავლე, რომელის განვითარების მხარდაჭერაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებისას გამოიკვეთა სპეც. მასწავლებლის კომპეტენტურობა და ორგანიზებულობა, ის აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებლებთან და მშობლებთან. სკოლას აქვს შემუშავებული სსსმ მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ. დირ. ბრძანებით #2ს-41 20/10/2023);**
- **ინდ. გეგმა- ნიმუში;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრის სახით:

   - ჭადრაკის წრე I-IX კლასებში;
   - ხელოვნების კლუბი I-IX კლასებში;
   - მკითხველთა კლუბი-I-IX კლასებში

   სკოლას არ აქვს გაიჯარებული ფართები.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
<u>დაწყებითი საფეხური</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - სასკოლო კურიკულუმისშემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა; კათედრების მუშაობა... გაწერილია სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის ფუნქცია-მოვალეობები კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში. აღნიშნულია, რომ ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მხრივ, კათედრებს აქვს შემდეგი პრაქტიკა: მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება, მოსწავლეთა შედეგების ანალიზის გათვალისწინება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. შემდგომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის პროექტი გადაეგზავნება დირექციას და როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს, ბოლოს კი დასამტკიცებლად პედაგოგიურ საბჭოს. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით სკოლაში დგას ე.წ. ,,პრობლემების ყუთი", სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს საშუალება დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ანონიმურად.
ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ხდება მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზი. მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივით ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო, სოციალური კულტურული ღონისძიება და პროექტი, სკოლა აქტიურად გეგმავს სასკოლო სასწავლო გეგმა ააგოს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ჩართოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყველა მხარე. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ ვლინდება მასწავლებლის მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში. კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა-სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებით შემუშავებულ კურიკულუმში გამიზნული ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაა უზრუნველყოფილი. შექმნილი კურიკულუმი ქმნის პერსპექტივას, სამომავლოდ სკოლის პრაქტიკაში ეროვნული სასწავლო გეგმის მექანიზმებზე დაყრდნობით ყველა კლასის ინტერესის გათვალისწინებით უფრო სრულყოფილად და სისტემატურად გამზადდეს შესაბამისი დოკუმენტები, სრულად იქნას გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები სწავლა-სწავლებაში, ისეთი სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისათვის, რომლებშიც გააზრებულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესთა თანხვედრა. შესაბამისად, იკვეთება აღნიშნული ინდიკატორის დაფარვის შესაძლებლობა.
ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;.

სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და განსაზღვრავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. სკოლასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. ინდიკატორს ადასტურებს, როგორც საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოები, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და როლი შემუშავების პროცესში. სკოლაში ასევე იკვეთება კათედრათაშორისი თანამშრომლობა, მაგ. ბუნებისმეტყველების მასწავლებლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში განხორციელდა გარმოსდაცვითი პროექტი, რომელშიც ჩართული იყო როგორც დაწყებითი, ასევე საბუნებისმეტყველო, უცხო ენების, სპორტის და ესთეტიკის კათედრა.გარემოსდაცვით თემაზე შექმნილია როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი პოსტერები. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთობლივ, შეთანხმებულ მუშაობას სასკოლო კურიკულუმზე. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებულია არამარტო საგნის, კათედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. სასკოლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა აქტივობების განხორციელების გეგმა განთავსებულია ფეისბუკ გვერდზე/teams-სა და მესენჯერ ჯგუფებში. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს სურვილის შემთხვევაში, მშობლის მიერ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობას. კურიკულუმის მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება და აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. ამიტომაც სკოლას მიეცა **რჩევა, რომ სახელმწიფო ენაში კურიკულუმები შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით, ხოლო მათემატიკის კურიკულუმებში, ვინაიდან სკოლა შუალედური მიზნის მიღწევის მიზნით ნერგავს კომპლექსური დავალებებით მუშაობას, სასურველია გაიზარდოს კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობა სემესტრში მინიმუმ ერთხელ მაინც და დეტალურად გაიწეროს განხორციელების ეტაპები.** ასევე, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმისათვის, სასურველია, მეტად მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების შერჩევა. ახალი საკითხების შესწავლა სასურველია ძირითადი კონტექსტ-მაგალითების გამოყენებით.
ინდიკატორი 2.1.2.1.- დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებელს წარმოდგენილი აქვს ორიგინალური, მის მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, წარმოდგენილ კურიკულუმში ასახული შუალედური სასწავლო მიზნების მიმართება გრძელვადიანი მიზნებთან მკაფიოდ ჩანს და იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებაზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის და სხვა ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუების დროს პედაგოგმა აღწერა კონკრეტული კომპლექსური დავალება და ისაუბრა იმაზე, თუ რომელ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს გააქტიურებდა, ეს მოწმობს, რომ მათ აქვთ მზაობა და შესაძლებლობა გრძელვადიანი მიზნების მართებულად განსასაზღვრად. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. მასწავლებლებს აქვთ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. საგნის მასწავლებელი სპეც-მასწავლებელთან ერთად ადგენს მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესზე მორგებულ კომპლექსურ დავალებას, ზრუნავს, რომ სასაწავლო რესურსები და მასალები ისე შესთავაზოს მოსწავლეს, რომ გაზარდოს მისი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და ხელი შეეწყოს ცოდნის კონსტრუირებას. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს 2023-24 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩარჩულია საასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები (სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი). კათედრებს მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს დაწყებით საფეხურზე კონკრეტული თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე, სადაც თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. ამ მსჯელობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. თუმცა რამოდენიმე საგანში წარმოდგენილი რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ სკოლას მიეცა **რჩევა:**

- ✓ **სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დააკონკრეტოს და დაუკავშიროს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებს;**
- ✓ **მათემატიკა - სასურველია სკოლამ, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენოს მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, შეიმუშაონ კონკრეტულ საკითხებზე მორგებული და მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები;**
- ✓ **უცხო ენა - განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დააფუძნონ არა მხოლოდ თემიდან ერთ ძირითად საკითხზე/შუალედურ მიზანზე, არამედ უფრო მეტად დააზუსტონ და დაუკავშირონ კონკრეტული თემის ფარგლებში დასაფარ სასწავლო საკითხებს**
- ✓ **ბუნებუსმეტყველება - მიუხედავად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებისა, მნიშვნელოვანია ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა შეიმუშაოს თითოეულ საკვანძო საკითხზე მიმართული შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართული იქნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე.**

ინდიკატორი 2.1.2.4- დაკმაყოფილებულია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას კერძოდ, კათედრის სხდომაზე აკეთებენ გამოვლენილი ხარვეზების ანალიზს, პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ადგენენ ახალ კურიკულუმს. წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა, რასაც მასწავლებლებთან ინტერვიუც ამოწმებს, საგნობრივი კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება-დახვეწა და განვითარება. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას არჩეული აქვს დიაგნოსტირების ინსტრუმენტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კერძოდ, საკლასო წერა, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასწავლო სასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.1.2.5- დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმი;**
- **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები**
- **საგნობრივი პროგრამები;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **ინდ.გეგმა**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას პოზიტიური სასკოლო კულტურა და სასკოლო კლიმატი, რათა მოსწავლეები უფრო მეტად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში, გახდნენ ინიციატივიანები და დამოუკიდებლები. ამის მისაღწევად კარგი საშუალებაა კომპლექსურ დავალები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. ასევე დიდი როლი აქვს მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლას, სადაც მოსწვალე მუდმივად ინტერქციაშია თანატოლთან, გასცემს და იღებს დაუყოვნებლივ უკუკავშირს, იზიარებს პასუხისმგებლობას საბოლოო შედეგზე. მაგალითად, საგანში „მე დაზოგადოება“, განხორციელდა კომპლექსური დავალება - „კომიქსის საშუალებით გარემოზე ზრუნვის ასახვა“. მოსწავლეებს მიწოდათ საჭირო რესურსი, მათ შორის როგორ უნდა შეექმნათ კომიქსი. პროდუქტის შექმნის შემდეგ გააკეთეს პრეზენტაციები. ამ კომპლექსური დავალების მუშაობისას მოსწავლეებს გამოუმუშავდათ შემოქმედებითობის უნარი, რადგან თვითონ იმუშავეს კომქსის შექმნაზე. მომავალში გეგმავენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება უფრო მეტად გამოავლინონ შემოქმედებითი უნარები.

ინდიკატორი 2.2.1.1- დაკმაყოფილებულია.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს, სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. სკოლის მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას სასწავლო პროცესში და ამის მიღწევას ცდილობენ მრავალფეროვანი ხერხებით. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ითვალისწინებენ, რომ მოსწავლე უკეთ ითვისებს მასალას, რომელზეც უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა და როცა ცოდნა იგება მარტივიდან რთულისაკენ. ძალიან ეფექტურია მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში სხვადასხვა დავალებები და განსაკუთრებით კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობები, რაც იძლევა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების განსაზღვრის შესაძლებლობას წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს მოსწავლე ახალ ცოდნამდე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მის ფარგლებში მოსწავლე აგებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ცოდნას. სკოლას გარკვეული გამოცდილება აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების, პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას აქტიურად განახორციელონ გაწერილი კომპლექსური დავალებები მომავალ სასწავლო წელს. **ინდიკატორი 2.2.1.2.- დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მსჯელობენ, როგორ წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. სკოლა მუშაობს მოსწავლის სასწავლო პროცესში გამოჩენილი დამოუკიდებლობის წახალისებაზე, სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს და სხვა აქტივობებს, რომელიც ემსახურება მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას. მასწავლებლები თვლიან, რომ ამ აქტივობების და მიდგომების ხარჯზე, მოსწავლეები აცნობიერებენ მიღწეულ შედეგებს, ეჩვევიან საკუთარი სწავლისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგს. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიც სწორედ ამგვარადაა შედგენილი. ისინი მოითხოვს სწავლის პროცესზე დაკვირვებას თავად ცოდნის მიმღების მხრიდან. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

შესასრულებლად; ამ მიზანს ემსახურება ის შეკითხვები, რომელიც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს მაგალითისთვის გააჟღერეს და რომელსაც კომპლექსური ტიპის დავალებების წარდგენისას ხშირად იყენებენ. მაგ, როგორ გართვი თავი დავალებას? რა ნაწილში გაგიჩნდა კითხვა? როგორ უპასუხე წამოჭრილ კითხვას? რატომ აირჩიე დავალების შესრულების ეს მეთოდი? და სხვა.

2.2.1.3. ინდიკატორი -დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ კომიქსად, იგავად, წერილად და ა.შ. ასევე ახორციელებენ აქტივობებს მაგ. ინტელექტუალურ თამაშებს რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითრებას. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები ქმნიან კომიქსებს, წერილებს, დღიურებს, აგრძელებენ სიუჟეტს, თხზავენ ამბავს ნახატის მიხედვით, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.

2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- კათედრის ოქმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მაგალითად, მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები: პატარა მეყვავილე, გაანაწილე წიგნები, გაყიდვების მენეჯერი ერთი დღით, ზოოპარკი, მხიარული სტარტები, ყვავილნარის დაგეგმარება, ვარდების სათბური მიზნის მიღწევის მიზნად განისაზღვრება. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგოგებთან გასაუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გააზრებულია მიზანზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. **ინდიკატორი 2.2.2.1 -დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, ასევე ისაუბრეს, რომ მოსწავლეებისათვის საკუთარი პროდუქტის წარმოჩენა, პოზიტიური უკუკავშირის მიღება ხელს უწყობს მათში დადებით ფსიქო-სოციალური გრძნობების გააქტიურებას. ხდებიან უფრო თავდაჯერებულები და მოტივირებულები შემდგომი სამუშაოს შესრულებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა და სხვა, საკლასო აქტივობებს ისინი გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პიროვნული აღიარების აუცილებელი მოხოვნილება და ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი უნარების დახვეწა. ამასთანავე მასწავლებლები შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას.

სკოლას მიეცა რჩევა - გაკეთდეს მეტი აქცენტი კომპლექსური დავალებების რეფლექსიაზე. რეფლექსია სასურველია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის კვლევის ფარგლებში, ასევე მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით. ყურადღება გამახვილდეს თვითცნობიერებაზე, თვითრეგულაციასა და სოციალურ ცნობიერებაზე. პროცესში შეიძლება ჩართული იყოს მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია.

ინდიკატორი 2.2.2.2 -დაკმაყოფილებულია

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, პედაგოგებს გათავისებული აქვთ, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სწორედ ამ მიზნით მასწავლებლებმა წარმოდგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია რა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე – მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაზე (კრიტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აზროვნება; შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), ასევე ორიენტირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე – შესაბამისად მოსწავლეები აქტიურად ერთობიან საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ამ ეტაპზე წერილობითი განმავითარებელი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები მასწავლებლებისაგან იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ამჟამად სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებს ძირითდად აფასებენ ზეპირი კომენტარებით, სემესტრის ბოლოს თითოეული მასწავლებელი წერს წერილობით კომენტარს ელექტრონულ ჟურნალში, რაც ხელმისაწვდომია მშობლებისთვის; კათედრის შეხვედრაზე სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს უზიარებს ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების შესახებ; კლასის დამრიგებლის იწვევს შეხვედრებზე ერთი კლასის სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს, რომ ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია კონკრეტული მოსწავლეების მიღწევების შესახებ. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან, თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანია. წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში 10 ქულა განაწილებულია 3 კომპონენტზე, თუმცა ჩაშლილი არ არის ერთ ქულიანი ბიჯით, რაც სანდოობის მხრივ იწვევს შეუსაბამობას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკები შემუშავების პროცესშია და გამოხატეს მზაობა, რომ სექტემბრისთვის კიდევ უფრო დახვეწონ.

რჩევა: სასურველია ვალიდურობისა და სანდოობის მიზნით, კათედრამ მეტად გაამახვილოს ყურადღება თუ რა მიზნით, რა კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მასწავლებელი შეფასებას, რა მეთოდებს იყენებს; რა პრინციპით არჩევს შეფასების ინსტრუმენტს; რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს; სასურველია კრიტერიუმების შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ მოსწავლეები და მშობლები. ინდიკატორი 2.2.2.4 -დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას გაწერილი აქვს, ვერიფიკაციის მექანიზმი რომლითაც რეგულირდება: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. საბოლოოდ, ვიღებთ შეფასების სისტემის რეფლექსიას სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ამ ეტაპზე არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირების; **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანვე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა დანართებით;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრუკები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში გაწერილი რეგულაციებით, ასევე სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი, სსსმ მოსწავლეთა მიმართ მხარდაჭერის რეგულაციები, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადამრიგებლო პროგრამები, განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები მიმართულია სკოლაში პოზიტიური, მზრუნველი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. აქვთ მაღალი მოლოდინები მოსწავლეთა მიმართ. **ინდიკატორი 2.2.3.1-დაკმაყოფილებულია**

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობა სრულ შესაბამისობაშია რეალობასთან, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. თითოეული დეტალი ადასტურებს, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძლევადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას, სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში, ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის სტრუქტურული ერთეულები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. სასწავლო გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. კათედრის წევრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ჩანს, რომ იცნობენ ერთმანეთის სამოქმედო გეგმებს. კურიკულუმი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ესეც განაპირობებს იმას, რომ კომუნიკაცია (ზოგჯერ, საჭიროებისამებრ, ონლაინ) არის უწყვეტი და დინამიკური. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. აღნიშნული დადასტურებულია კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითაც, რომელიც გვიჩვენებს თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობას სკოლაში. განხორციელებული და დაგეგმილი ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია სკოლის წარმატებისათვის. სასკოლო კურიკულუმისა და ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავება ხდება ყველა მასწავლებლის აქტიური თანამშრომლობით. სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024;**
- **კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- **სკოლის ვიზუალური დათვალიერება.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას.მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. 2023-2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია საკლასო წერის ანალიზის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის დანერგვა დაწყებულია, თუმცა მონიტორინიგისა და შეფასების პროცესები საწყის ეტაპზე მხოლოდ დაგეგმილია. შესაბამისად, **სკოლის პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდა მოცემული ინდიკატორი.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა: სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას, დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად. **სკოლის პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდა მოცემული ინდიკატორი.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი. შედეგად, შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. ანალიზისა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე კი გამოიკვეთება გაუმჯობესების გზები. **სკოლის პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდა მოცემული ინდიკატორი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
კათედრებისს სამოქმედო გეგმა,

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტში აღნიშნულია და გასაუბრების დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები და ინსტრუმენტები, შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრების (დირექტორის, ხარისხის ჯგუფის), ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირს მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლისგან, დამრიგებლისგან. აწარმოებენ განმსაზღვრელ (რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას სამი კომპონენტით საშინაო დავალება, საკლასო აქტივობა, შემაჯამებელი სამუშაო) და განმავითარებელ შეფასებას, რომელთაც აწვდიან მშობლებს ელ.ჟურნალის მეშვეობით. სსგ-ში გაწერილია ჰოლიტური შეფასების რუბრიკები

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. ინფორმაციის მოსაპოებლად გათვალისწიებული შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ.. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები, შესაძლებლობები. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლის განვითარების უახლოესი დონის დადგენაზე და შესაბამისად განვითარებისთვის ზრუნვაზე (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური). **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

პედაგოგი ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდის მათ უკუკავშირს. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს. პრიორიტეტს ანიჭებენ მოსწავლის თვითშეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს.: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, მოხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, სკოლის პორტალი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.**ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას ხდება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციის გათვალისწინება. როგორიცაა კათედრის ანგარიშები, დამრიგებლის ანგარიშები, ასევე ხდება მონიტორინგისა და შემაჯამებელი დავალების ანალიზის შედეგების გათვალისწინება. ხარისხის მართვის ჯგუფის დასკვნებზე დაყრდნობით სკოლა დაადგენს სასწავლო პროცესში გამოკვეთილ პრობლემებსა და საჭიროებებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებს და სოციალურ ფაქტორებს. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **საგნობრივი კურიკულუმი,**
- **შეფასების რუბრიკები,**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024,**
- **ვერიფიკაციის მექანიზმი,**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024,**
- **გასაუბრება მასწავლებლებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის რევიზიის პროცედურა (მუხლი 1.3.1.) განსაზღვრულია მიმართულებები რომლის მიხედვითაც განხორციელდება ანალიზი. თითოეული მიმართულება ჩაშლილია კონკრეტულ ამოცანებად. მოსწავლეთ შედეგების ანალიზის მიმართულებით სკოლაში შექმნილია „კურიკულუმის რევიზიაზე, შემუშავებაზე, მონიტორინგზე და შეფასებაზე მომუშავე ჯგუფი“ და განსაზღვრული ჰყავს ცალკეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე გაწერილია აქტივობები ისეთი მიმართულებების შესასწავლად, როგორიცაა მოსწავლეთა ჩართულობა, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა და დირექციის ჩართულობა. თითოეული ზემოჩამოთვლილი მიმართულებებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის:

- ✓ რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- ✓ რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ, შეთანხმებულ“და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში-კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, გაწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცედურა (მუხლი 1.3.2.). გაწერილია კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებელი რგოლები და განხორციელების ვადები. დოკუმენტის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- ✓ კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია),
- ✓ კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობას, რაც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები,**
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - სასკოლო კურიკულუმისშემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა; კათედრების მუშაობა... გაწერილია სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის ფუნქცია-მოვალეობები კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში. აღნიშნულია, რომ ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მხრივ, კათედრებს აქვს შემდეგი პრაქტიკა: მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება, მოსწავლეთა შედეგების ანალიზის გათვალისწინება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. შემდგომ კურიკულუმის პროექტი გადაეგზავნება დირექციას და როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი შესათანხმებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარედგინება სამეურვეო საბჭოს, ბოლოს კი დასამტკიცებლად პედაგოგიურ საბჭოს. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით სკოლაში დგას ე.წ. ,,პრობლემების ყუთი", სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს საშუალება დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ანონიმურად.
ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ხდება მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზი. მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივით ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო, სოციალური კულტურული ღონისძიება და პროექტი, სკოლა აქტიურად გეგმავს სასკოლო სასწავლო გეგმა ააგოს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ჩართოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყველა მხარე. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ ვლინდება მასწავლებლის მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში. კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა-სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებით შემუშავებულ კურიკულუმში გამიზნული ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაა უზრუნველყოფილი. შექმნილი კურიკულუმი ქმნის პერსპექტივას, სამომავლოდ სკოლის პრაქტიკაში ეროვნული სასწავლო გეგმის მექანიზმებზე დაყრდნობით ყველა კლასის ინტერესის გათვალისწინებით უფრო სრულყოფილად და სისტემატურად გამზადდეს შესაბამისი დოკუმენტები, სრულად იქნას გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები სწავლა-სწავლებაში, ისეთი სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისათვის, რომლებშიც გააზრებულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესთა თანხვედრა. შესაბამისად, იკვეთება აღნიშნული ინდიკატორის დაფარვის შესაძლებლობა.
ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;.

სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. სკოლასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. ინდიკატორს ადასტურებს, როგორც საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოები, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და როლი შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებულია არამარტო საგნის, კათედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. სასკოლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა აქტივობების განხორციელების გეგმა განთავსებულია ფეისბუკ გვერდზე, teams-სა და მესენჯერ ჯგუფებში. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს სურვილის შემთხვევაში, მშობლის მიერ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობას.კურიკულუმის მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება და აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. ამიტომაც სკოლას მიეცა **რჩევა, რომ სახელმწიფო ენაში კურიკულუმები შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით, ხოლო მათემატიკის კურიკულუმებში, ვინაიდან სკოლა შუალედური მიზნის მიღწევის მიზნით ნერგავს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კომპლექსური დავალებებით მუშაობას, სასურველია გაიზარდოს კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობა სემესტრში მინიმუმ ერთხელ მაინც და დეტალურად გაიწეროს განხორციელების ეტაპები. ასევე, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმისათვის, სასურველია, მეტად მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების შერჩევა. ახალი საკითხების შესწავლა სასურველია ძირითადი კონტექსტ-მაგალითების გამოყენებით.
ინდიკატორი 2.1.2.1.- დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებელს წარმოდგენილი აქვს ორიგინალური, მის მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, წარმოდგენილ კურიკულუმში ასახული შუალედური სასწავლო მიზნების მიმართება გრძელვადიანი მიზნებთან მკაფიოდ ჩანს და იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებაზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის და სხვა ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუების დროს პედაგოგმა აღწერა კონკრეტული კომპლექსური დავალება და ისაუბრა იმაზე, თუ რომელ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს გააქტიურებდა, ეს მოწმობს, რომ მათ აქვთ მზაობა და შესაძლებლობა გრძელვადიანი მიზნების მართებულად განსასაზღვრად. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. მასწავლებლებს აქვთ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. საგნის მასწავლებელი სპეც-მასწავლებელთან ერთად ადგენს მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესზე მორგებულ კომპლექსურ დავალებას, ზრუნავს, რომ სასაწავლო რესურსები და მასალები ისე შესთავაზოს მოსწავლეს, რომ გაზარდოს მისი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და ხელი შეეწყოს ცოდნის კონსტრუირებას. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს 2023-24 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩარჩულია საასკოლო საზოგადოება. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ დიფერენცირებული სწავლების პრინციპები უფრო ნათლად აისახოს სასწავლო კურიკულუმებში სახელმწიფო ენის მიმართულებით.**
ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები (სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი). კათედრებს მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს დაწყებით საფეხურზე კონკრეტული თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე, სადაც თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. ამ მსჯელობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. თუმცა რამოდენიმე საგანში წარმოდგენილი რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ სკოლას მიეცა **რჩევა:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- ✓ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დააკონკრეტოს და დაუკავშიროს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებს;
- ✓ მათემატიკა - სასურველია სკოლამ, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენოს მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, შეიმუშაონ კონკრეტულ საკითხებზე მორგებული და მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები;
- ✓ უცხო ენა - განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დააფუძნონ არა მხოლოდ თემიდან ერთ ძირითად საკითხზე/შუალედურ მიზანზე, არამედ უფრო მეტად დააზუსტონ და დაუკავშირონ კონკრეტული თემის ფარგლებში დასაფარ სასწავლო საკითხებს
- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მიუხედავად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებისა, მნიშვნელოვანია ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის მასწავლებლებმა შეიმუშაონ თითოეულ საკვანძო საკითხზე მიმართული შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებული იქნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე.

ინდიკატორი 2.1.2.4- დაკმაყოფილებულია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას კერძოდ, კათედრის სხდომაზე აკეთებენ გამოვლენილი ხარვეზების ანალიზს, პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ადგენენ ახალ კურიკულუმს. წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა, რასაც მასწავლებლებთან ინტერვიუც ამოწმებს, საგნობრივი კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება-დახვეწა და განვითარება. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას არჩეული აქვს დიაგნოსტირების ინსტრუმენტი, კერძოდ, საკლასო წერა, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასწავლო სასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.1.2.5- დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- **კურიკულუმი;**
- **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები**
- **საგნობრივი პროგრამები;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **ინდ.გეგმა**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ <u>შეესაბამება</u>

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას პოზიტიური სასკოლო კულტურა და სასკოლო კლიმატი, რათა მოსწავლეები უფრო მეტად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში, გახდნენ ინიციატივიანები და დამოუკიდებლები. ამის მისაღწევად კარგი საშუალებაა კომპლექსურ დავალები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. ასევე დიდი როლი აქვს მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლას, სადაც მოსწვალე მუდმივად ინტერქციაშია თანატოლთან, გასცემს და იღებს დაუყოვნებლივ უკუკავშირს, იზიარებს პასუხისმგებლობას საბოლოო შედეგზე. **ინდიკატორი 2.2.1.1- დაკმაყოფილებულია**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს, სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. სკოლის მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას სასწავლო პროცესში და ამის მიღწევას ცდილობენ მრავალფეროვანი ხერხებით. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ითვალისწინებენ, რომ მოსწავლე უკეთ ითვისებს მასალას, რომელზეც უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა და როცა ცოდნა იგება მარტივიდან რთულისაკენ. ძალიან ეფექტურია მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში სხვადასხვა დავალებები და განსაკუთრებით კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობები, რაც იძლევა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების განსაზღვრის შესაძლებლობას წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს მოსწავლე ახალ ცოდნამდე. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მის ფარგლებში მოსწავლე აგებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ცოდნას. **ინდიკატორი 2.2.1.2.- დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მსჯელობენ, როგორ წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. სკოლა მუშაობს მოსწავლის სასწავლო პროცესში გამოჩენილი დამოუკიდებლობის წახალისებაზე, სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს და სხვა აქტივობებს, რომელიც ემსახურება მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას. მასწავლებლები თვლიან, რომ ამ აქტივობების და მიდგომების ხარჯზე, მოსწავლეები აცნობიერებენ მიღწეულ შედეგებს, ეჩვევიან საკუთარი სწავლისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგს. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიც სწორედ ამგვარადაა შედგენილი. ისინი მოითხოვს სწავლის პროცესზე დაკვირვებას თავად ცოდნის მიმღების მხრიდან. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; ამ მიზანს ემსახურება ის შეკითხვები, რომელიც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს მაგალითისთვის გააჟღერეს და რომელსაც კომპლექსური ტიპის დავალებების წარდგენისას ხშირად იყენებენ. მაგ, როგორ გართვი თავი დავალებას? რა ნაწილში გაგიჩნდა კითხვა? როგორ უპასუხე წამოჭრილ კითხვას? რატომ აირჩიე დავალების შესრულების ეს მეთოდი? და სხვა.

2.2.1.3. ინდიკატორი -დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ კომიქსად, იგავად, წერილად და ა.შ. ასევე ახორციელებენ აქტივობებს მაგ. ინტელექტუალურ თამაშებს რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითრებას. კურიკულუმებში გაწერილია თემატური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები ქმნიან კომიქსებს, წერილებს, დღიურებს, აგრძელებენ სიუჟეტს, თხზავენ ამბავს ნახატის მიხედვით, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.
2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით.
ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- კათედრის ოქმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგოგებთან გასაუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გააზრებულია მიზანზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება.
ინდიკატორი 2.2.2.1 -დაკმაყოფილებულია

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, ასევე ისაუბრეს, რომ მოსწავლეებისათვის საკუთარი პროდუქტის წარმოჩენა, პოზიტიური უკუკავშირის მიღება ხელს უწყობს მათში დადებით ფსიქო-სოციალური გრძნობების გააქტიურებას. ხდებიან უფრო თავდაჯერებულები და მოტივირებულები შემდგომი სამუშაოს შესრულებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა და სხვა, საკლასო აქტივობებს ისინი გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პიროვნული აღიარების აუცილებელი მოხოვნილება და ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი უნარების დახვეწა. ამასთანავე მასწავლებლები შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას.
სკოლას მიეცა რჩევა - გაკეთდეს მეტი აქცენტი კომპლექსური დავალებების რეფლექსიაზე. რეფლექსია სასურველია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის კვლევის ფარგლებში, ასევე მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ყურადღება გამახვილდეს თვითცნობიერებაზე, თვითრეგულაციასა და სოციალურ ცნობიერებაზე. პროცესში შეიძლება ჩართული იყოს მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია.
ინდიკატორი 2.2.2.2 -დაკმაყოფილებულია

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტით: მიმდინარე საკლასო დავალება, მიმდინარე საშინაო დავალება, შემაჯამებელი დავალება. მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. მასალებში წარმოდგენილია მოსწავლეთ შეფასების რუბრიკები, ძირითდად სოლო ტაქსონომიის სახით წარმოდგენილი, სადაც მოსწავლეები შეფასებული იყო სხვადასხვა დონეზე და ჰქონდა შესაბამისი განმავითრებელი კომენტარი, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ თვითშეფასების რუბრიკებს. საბაზო საფეხურზე 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელით მუშაობას, ხოლო სადიაგნოსტიკო შეფასებას განახორციელებენ პირველი ინსტრუმენტის საშუალებით. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, გააანალიზებენ და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვის. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ამჟამად სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს. სკოლამ ინტერვიუს პროცესში ისაუბრა,რომ სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებს ძირითდად აფასებენ ზეპირი კომენტარებით, სემესტრის ბოლოს თითოეული მასწავლებელი წერს წერილობით კომენტარს ელექტრონულ ჟურნალში, რაც ხელმისაწვდომია მშობლებისთვის; კათედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეხვედრაზე სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს უზიარებს ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების შესახებ; კლასის დამრიგებლის იწვევს შეხვედრებზე ერთი კლასის სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს, რომ ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია კონკრეტული მოსწავლეების მიღწევების შესახებ. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც ადასტურებს,რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანია. წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში 10 ქულა განაწილებულია 3 კომპონენტზე, თუმცა ჩაშლილი არ არის ერთ ქულიანი ბიჯით, რაც სანდოობის მხრივ იწვევს შეუსაბამობას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკები შემუშავების პროცესშია და გამოხატეს მზაობა, რომ კიდევ უფრო დახვეწონ. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია ვალიდურობისა და სანდოობის მიზნით, კათედრამ მეტად გაამახვილოს ყურადღება თუ რა მიზნით, რა კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მასწავლებელი შეფასებას, რა მეთოდებს იყენებს; რა პრინციპით არჩევს შეფასების ინსტრუმენტს; რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს; სასურველია კრიტერიუმების შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ მოსწავლეები და მშობლები. ინდიკატორი 2.2.2.4 -დაკმაყოფილებულია**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას გაწერილი აქვს, ვერიფიკაციის მექანიზმი რომლითაც რეგულირდება: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. საბოლოოდ, ვიღებთ შეფასების სისტემის რეფლექსიას სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ამ ეტაპზე არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირების; **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა დანართებით;**
- **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრუკები.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში გაწერილი რეგულაციებით, ასევე სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი, სსსმ მოსწავლეთა მიმართ მხარდაჭერის რეგულაციები, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადამრიგებლო პროგრამები, განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები მიმართულია სკოლაში პოზიტიური, მზრუნველი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. აქვთ მაღალი მოლოდინები მოსწავლეთა მიმართ. **ინდიკატორი 2.2.3.1-დაკმაყოფილებულია**

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობა სრულ შესაბამისობაშია რეალობასთან, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. თითოეული დეტალი ადასტურებს, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძლევადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას, სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში, ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის სტრუქტურული ერთეულები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. სასწავლო გეგმები იქმნება კათედრებზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. მასწავლებლები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ჩანს, რომ იცნობენ ერთმანეთის სამოქმედო გეგმებს. კურიკულუმი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ესეც განაპირობებს იმას, რომ კომუნიკაცია (ზოგჯერ, საჭიროებისამებრ, ონლაინ) არის უწყვეტი და დინამიკური. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. აღნიშნული დადასტურებულია კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითაც, რომელიც გვიჩვენებს თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობას სკოლაში. განხორციელებული და დაგეგმილი ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია სკოლის წარმატებისათვის. სასკოლო კურიკულუმისა და ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავება ხდება ყველა მასწავლებლის აქტიური თანამშრომლობით. სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

<u>ხარვეზი: სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ იყო ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისი რესურსები - ხელსაწყოები, აღჭურვილობა, რეაქტივები, მულაჟები, მიკროსკოპი, სადემონსტრაციო მაგიდები ცეცხლგამძლე ზედაპირით, საჭირო ჭურჭელი.</u>

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, 2023 წლის 29 ნოემბერს გაგზავნილი წერილი MES6230001619937 სსიპ საგამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, რითაც სკოლა ითხოვს სააგენტოსგან მხარდაჭერას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სათანადო ინვენტარით აღჭურვასთან დაკავშირებით. ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განისაზღვრა ლაბორატორიის აღჭურვა რესურსებით 2024 წლის 20 ნოემბრამდე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024;**
- **კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა;**
- **სკოლის ვიზუალური დათვალიერება;**
- **შესაბამისობის გეგმა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ***2023 წლის 29 ნოემბრის წერილი MES6230001619937 სსიპ საგამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სახელზე.***

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას.მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია საკლასო წერის ანალიზის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის დანერგვა დაწყებულია, თუმცა მონიტორინიგისა და შეფასების პროცესები საწყის ეტაპზე მხოლოდ დაგეგმილია. შესაბამისად, **სკოლის პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდა მოცემული ინდიკატორი.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა: სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას, დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად. **სკოლის პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდა მოცემული ინდიკატორი.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი. შედეგად, შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. ანალიზისა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე კი გამოიკვეთება გაუმჯობესების გზები. **სკოლის პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდა მოცემული ინდიკატორი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
კათედრებისს სამოქმედო გეგმა,

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტში აღნიშნულია და გასაუბრების დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები და ინსტრუმენტები, შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრების (დირექტორის, ხარისხის ჯგუფის), ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირს მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლისგან, დამრიგებლისგან. აწარმოებენ განმსაზღვრელ (რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას სამი კომპონენტით საშინაო დავალება, საკლასო აქტივობა, შემაჯამებელი სამუშაო) და განმავითარებელ შეფასებას, რომელთაც აწვდიან მშობლებს ელ.ჟურნალის მეშვეობით. სსგ-ში გაწერილია ჰოლიტური შეფასების რუბრიკები

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. ინფორმაციის მოსაპოებლად გათვალისწიებული შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ.. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები, შესაძლებლობები. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლის განვითარების უახლოესი დონის დადგენაზე და შესაბამისად განვითარებისთვის ზრუნვაზე (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური). **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს.: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, მოხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, სკოლის პორტალი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.**ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას ხდება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციის გათვალისწინება. როგორიცაა კათედრის ანგარიშები, დამრიგებლის ანგარიშები, ასევე ხდება მონიტორინგისა და შემაჯამებელი დავალების ანალიზის შედეგების გათვალისწინება. ხარისხის მართვის ჯგუფის დასკვნებზე დაყრდნობით სკოლა დაადგენს სასწავლო პროცესში გამოკვეთილ პრობლემებსა და საჭიროებებს და გასცემს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

შესაბამის რეკომენდაციებს. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებს და სოციალურ ფაქტორებს. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **საგნობრივი კურიკულუმი,**
- **შეფასების რუბრიკები,**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024,**
- **ვერიფიკაციის მექანიზმი,**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024,**
- **გასაუბრება მასწავლებლებთან;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის რევიზიის პროცედურა (მუხლი 1.3.1.) განსაზღვრულია მიმართულებები რომლის მიხედვითაც განხორციელდება ანალიზი. თითოეული მიმართულება ჩაშლილია კონკრეტულ ამოცანებად. მოსწავლეთ შედეგების ანალიზის მიმართულებით სკოლაში შექმნილია „კურიკულუმის რევიზიაზე, შემუშავებაზე, მონიტორინგზე და შეფასებაზე მომუშავე ჯგუფი“ და განსაზღვრული ჰყავს ცალკეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე გაწერილია აქტივობები ისეთი მიმართულებების შესასწავლად, როგორიცაა მოსწავლეთა ჩართულობა, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა და დირექციის ჩართულობა. თითოეული ზემოჩამოთვლილი მიმართულებებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის:

- ✓ რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- ✓ რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ, შეთანხმებულ“და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში-კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, გაწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცედურა (მუხლი 1.3.2.). გაწერილია კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებელი რგოლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და განხორციელების ვადები. დოკუმენტის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- ✓ კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია),
- ✓ კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობას, რაც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები,**
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნანა ედიშერაშვილი _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნათია ღოღობერიძე _____

ნინო ფსუტური _____

ირმა შველიძე _____

თეა ხუროშვილი _____

ნინო ჯახველაძე _____

ირმა ქაფიანიძე _____

ნათია მაკრახიძე _____

ალექსანდრე ჩახნაშვილი _____

მარიამ კუჭუხიძე _____

ნინო ჭიჭინაძე _____

07.12.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____